ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმარჯოს მსოფლიო ოქტომბერს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბოლშევიკური კადრებისათვის

ტფილისის უნივერსიტეტის 10 დღიური ორგანო

№ 18 7 ნოემბერი, 1935 წელი №54

თვრამეტი წელი

18 წლის წინად ოქტომბრის მრისხან დღეებში შეიარაღებული აჯანყების ცეცხლში იშვა საბჭოთა ხელისუფლება. დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე აღიმართა პროლეტარიატის დიქტატურის დროშა და კაცობრიობის განვითარების ისტორიაში მშრომელები პირველად გახდენ თავისი ცხოვრების სრული ბატონ-პატრონი.

ჩვენი ქვეყანა გახდა ლამპარი, გზის მაჩვენებელი მსოფლიო პროლეტარიატისათვის კაპიტალიზმის ბორკილების დასამსხვრევად და სოციალიზმის დასამყარებლადმთელ მსოფლიოში.

18 წლისაა ჩვენი ბედნიერი საბჭოთა ქვეყანა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის 18 წლის თავს ხვდება ისტორიაში ჯერ არ ნახული წარმატებებით.

„საბჭოთა კავშირი—ამბობდა ამხ. **სტალინი**—ძირფესვიანად გადაიქმნა, თავიდან მოიშორა რა ჩამორჩენილობისა და საშუალო საუკუნეებრიობის სამოსელი. აგრარული ქვეყნიდან იგი გადაიქცა ინდუსტრიალურ ქვეყნად. წვრილი, ერთ პიროვნულ სოფლის მეურნეობის ქვეყნიდან იგი გადაიქცა კოლექტიური, მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობის ქვეყნად. ბნელი, წერა-კითხვის უცოდინარი და უკულტურო ქვეყნიდან იგი გახდა, უფრო სწორად, ხდება წერა-კითხვის მცოდნე კულტურულ ქვეყნად, რომელიც მოფენილია საბჭოთა კავშირის ეროვნებათა ენებზე მომქმედი უმაღლესი, საშუალო და დაბალი სკოლების უდიდესი ქსელით.“

შეიცვალა ჩვენი ქვეყნის სახე, შეიქმნენ წარმოების ახალი დარგები. შექმნილია მანქანათმშენებლობა დაზგების, ავტომობილების ტრაქტორების, მოტორების, კომბაინების, მძლავრი ტურბინებისა და გენერატორების წარმოება და სხვა. შექმნილია მძლავრი ქიმიური მრეწველობა, მეტალურგია, კვების მრეწველობა. უდიდესი ენტუზიაზმით აიგო და ამუშავდა მსოფლიოში ყველაზე ძლიერი, ტექნიკით შეიარაღებული თანამედროვე მაგნიტოგორსკი, კუზნეცკი, დნეპ[illegible]ს, ჩელიაბინსკის, ურალის და სხვა ქარხნები.

ამუშავდა მეტროპოლიტენის პირველი რიგი, შენდება მეორე დასხვა.

საბჭოთა კავშირი გადაიქცა აგრარულ ქვეყნიდან ინდუსტრიალურ ქვეყნად.

ამჟამად ტექნიკის დარგში არა გვაქვს შიმშილი, შექმნილია საწარმოო ბაზა. ახლა მთავარია „ტექნიკას გამოვწოვოთ იმის მაქსიმუმი, რის გამოწოვაც მისგან შეიძლება“ (სტალინი).

ერთი ათად იზრდება სახალხო შემოსავალი; სარეკორდოა ჩვენში სახალხო შემოსავლის ტემპი კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით. ინგლისსა, გერმანიასა და საფრანგეთში შემოსავლის საშუალო წლიური ზრდა არ აღემატება 3-8%, საბჭოთა კავშირში კი—1935 წ. 16,1%-ს აღწევს.

ჩვენში ძალზე გაიზარდა პროდუქცია. ფართო მოხმარების საგნების წარმოება, გაუმჯობესდა მშრომელთა მატერიალ-კულტურული მდგომარეობა.

ოქტომბრის 18 წელმა მთელ ქვეყანას უჩვენა სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის შვილთა სიმამაცე, გმირობა და თავდადება. ყველა მშრომელს ახარებს ის მსოფლიო რეკორდები, რომელთაც ამყარებენ ჩვენი მფრინავები, პარაშუტისტები, პლანერისტები, თურქესტანის ცხენოსნები, მეთხილამურეები, და სხვა.

ეს მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მიღწევები საბჭოთა კავშირის პროლეტარ-ტმა მოიპოვა.

მსოფლიო პროლეტარიატის საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის**—ლენინის თანამებრძოლის და მემკვიდრის, უშუალო ხელმძღვანელობით, რომელმაც წინ წასწია და მაღალ საფეხურზე აიყვანა მარქს-ენგელს-ლენინის თეორია. სტალინმა მოგვცა სოციალისტური მშენებლობის გენიალური ანალიზი. სტალინის ხელმძღვანელობით განადგურებულია მუშათა კლასის ყველა მტერი, კონტრრევოლუციონერ [illegible], ზინოვიევ-კამენევის [illegible] კონტრრევოლუციური ჯგუფი, მემარჯვენე ოპორტუნიზმი, მემარჯვენე „მემარცხენე“ უპრინციპო ბლოკი და მემარიგებლები. ჩვენი საყვარელი ბელადის ბრძნული ხელმძღვანელობით გაიმარჯვა სოციალიზმმა ჩვენს ქვეყანაში.

სოციალიზმის გამარჯვება ჩვენში არ ასვენებს ჩვენი ქვეყნის მტრებს. კლასობრივად უცხო ელემენტები მიმართავენ ყოველგვარ ზომებს სოციალისტური მშენებლობის ჩასაშლელად, რის შესახებაც ცენტრალური კომიტეტის ლოზუნგები მოგვიწოდებენ: „საბჭოთა ქვეყნის მშრომელნო! მომაკვდავი კლასობრივი მტრის გაბოროტებული ნაშთები ცდილობენ ჩაშალონ სოციალიზმის საქმე. ამოვფხვრათ ბურჟუაზიის ნაბოლარები. ძირს უდარდელობა და პირღიობა! ყოველთვის და ყველგან ფხიზელი ვიყოთ“.

„ბურჟუაზიულმა წყობილებამ ისტორიულად ამოწურა თავისი თავი, ახლა მას ახალი ფაშიზმის აგონია მანჯავს.

ს. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლოზუნგები მთელ მსოფლიოს პროლეტარებსა და გლეხობას ეუბნებიან: ფაშიზმი—ეს არის შიმშილობა, სილატაკე, გაპარტახება; სოციალიზმი—ეს არის სიუხვე და სიხარულით აღსავსე ცხოვრება. ფაშიზმი—ეს არის კულტურის გათელვა და ცეცხლში დაწვა; სოციალიზმი—ეს არის მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების ისეთი აყვავება, რომელიც უნახავი და შეუძლებელია კაპიტალისტური წყობილების დროს. ახალი, ჭეშმარიტად ადამიანური კულტურის აყვავება, ფაშიზმი სპობს კაპიტალისტურ ქვეყნებში ბურჟუაზიული დემოკრატიის უკანასკნელ ნაშთებს. საბჭოთა ქვეყანაში ფართოდ ვითარდება პროლეტარული დემოკრატია...

სულ უფროდაუფრო უახლოვდება საყოველთაო საარჩევნო უფლების ყოველგვარი შეზღუდვის სავსებით გაუქმებას. („პრავდა“).

კაპიტალისტური სახელმწიფო და ფაშისტური დიქტატურა ყოველგვარ ღონეს ხმარობს, რომ ჩაახრჩოს და გაანადგუროს მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობა. გერმანიის ფაშისტური დიქტატურა გამალებით ემზადება ახალი იმპერიალისტური ომისათვის. გერმანიის ფაშიზმის დაპყრობითი გეგმები უმთავრესად მიმართულია სოციალისტური სამშობლოს—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მაგრამ საერთაშორისო ბურჟუაზიისა და მისი დამქაშების სოციალ-მოღალატეთა ყოველგვარი ცდა დამსხვრეული იქნება.

ჩვენი ყოველდღიური ზრდა ამხნევებს კაპიტალისტური სახელმწიფოების მუშებსა და გლეხებს, აძლიერებს მათ რწმენას და მატებს სიმამაცეს რევოლუციურ ბრძოლაში იერიშის იდეა მწიფდება პროლეტარიატის შეგნებაში, იზრდება მუშათა რევოლუციური მოძრაობა კაპიტალიზმის ბორკილების დასამსხვრევად და სოციალიზმის დასამყარებლად მსოფლიოში.

საბჭოთა ხელისუფლებამ დაამსხვრია ნაციონალური მონობის ხუნდები, ფართო გზა გაუხსნა ფორმით ნაციონალურ და შინაარსით სოციალისტური კულტურის აღორძინებას. მეცნიერება, ტექნიკა, კულტურა ჩვენ ქვეყანაში გახდა მილიონების ხელმისაწვდომი საქმე.

მილიონებს მიეცათ შესაძლებლობა დაეუფლონ ცოდნის სიმდიდრეს, რომელიც დაგროვილია კაცობრიობის მიერ. ისტორიისაგან განწირული და მომაკვდავი კაპიტალიზმი ანადგურებს კულტურის იმ სიმდიდრეს, რომელიც შექმნეს უდიდესმა მოაზროვნეებმა. საბჭოთა ქვეყანაში კი ყოველმხრივ გზა გახსნილია მეცნიერებისა, ტექნიკისა და ხელოვნების განვითარებისათვის.

ა/კავკასია, ამხ. **ბერიას** ხელმძღვანელობით, უდიდესი წარმატებებით ხვდება ოქტომბრის მე-18 წელს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ამხ. **ბერიას** კონკრეტული და ოპერატიული მუშაობის სტალინური სტილის დანერგვით აღმოიფხვრა ძველი ხელმძღვანელობის უხეში პოლიტიკური შეცდომები.

პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქა არის ჭეშმარიტი მეცნიერების ტრიუმფის ეპოქა.

ახლანდელ ეტაპზე მთავარია კადრები. **კადრები სწყვეტს ყველაფერს.** ასეთია ამხ. **სტალინის** მიერ გადმოსროლილი ლოზუნგი, რომელიც გარდაიქცა ახალ ტალღად მაღალი კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში.

ჩვენ ვართ ისტორიაში ყველაზე ბედნიერი თაობა. ჩვენ ვცხოვრობთ ოქტომბრის ეპოქაში, ამხ. **სტალინის** ეპოქაში, კომუნიზმის დიადი შენების ეპოქაში.

ოქტომბრის მონაპოვარით ყვავის ორდენოსანი საქართველოს კულტურა და მეცნიერება, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირმშო შვილია ოქტომბრის რევოლუციისა.

ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე უნივერსიტეტში მშრომელთა შვილები თითქმის არ იყვნენ და არც ჰქონდათ შესაძლებლობა უნივერსიტეტში სწავლა-განათლების მიღებისა. მენშევიკები სრულებით არ ზრუნავდნენ სტუდენტთა მატერიალურ-კულტურულ მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, ამის საუკეთესო დასაბუთებას იძლევა დღევანდელ ჩვენ გაზეთში გამოქვეყნებული ცნობები მენშევიკური უნივერსიტეტის შესახებ.

ამხ. **ბერიას** ხელმძღვანელობით 1933 წელს დაქსაქსული ინსტიტუტების ნაცვლად, ჩამოყალიბდა ტფილისის სახ. უნივერსიტეტი. დღეს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ოქტომბრის 18 წელს ხვდება უდიდესი მიღწევებით. ამჟამად უნივერსიტეტში ათ სხვადასხვა ფაკულტეტზე სწავლობს 5500 სტუდენტი, გაიზარდა პროფესორ-ლექტორთა კადრები. ჩამოყალიბდა მთელი რიგი სამეცნიერო ინსტიტუტები, ლაბორატორიები, კაბინეტები, უნივერსიტეტმა აღზარდა ახალგაზრდა კადრები. დღეს ჩვენ უნივერსიტეტში ფართო გასაქანი აქვს მუშების და მშრომელი გლეხების შვილებს; დღეს უნივერსიტეტი მტკიცე პარტიული ხელმძღვანელობით წარმოადგენს ბოლშევიკურ უნივერსიტეტს.

ჩვენი უნივერსიტეტის წინაშე დგას ამოცანა მივსცეთ ჩვენს სახალხო მეურნეობას უმაღლესი კვალიფიკაციის პედაგოგები, ეკონომისტები, ქიმიკოსები, გეოგრაფები, გეოლოგები, მათემატიკოსები, საბჭოთა იურისტები და სხვა.

ჩვენ უნდა დავნერგოთ სტახანოვის მეთოდები ჩვენს უმაღლეს სასწავლებელში და მივცეთ ნამდვილი სტახანოველები სოციალისტურ მეცნიერებასა და მშენებლობას.

დღეს თითოეული სტუდენტის, პროფესორის, მასწავლებელის წინაშე არის ერთი ამოცანა: სიყვარულით მოეპყრან თავიანთ საქმეს, იზრუნონ თავიანთი ცოდნის გაფართოებისა და გაღრმავებისათვის, დაეუფლონ ბოლშევიკების გმირული ბრძოლების ისტორიას, იყონ თავაზიანობისა და წესრიგის საუკეთესო გამტარებლები, სამაგალითონი ლექციაზე, დერეფანში, ბინაში.

ვიყოთ მოწინავენი პოლიტიკური, აკადემიური და კულტურული დონის ამაღლების საქმეში. ჩვენ გვყავს მოწინავე ნიჭიერი ადამიანები, დაწყებულ პროფესორებიდან გათავებული სტუდენტობით. საჭიროა ყოველმხრივ დავეხმაროთ მათ.

დღეს საბჭოთა კავშირის მშრომელები კვლავ მოახდენენ ლენინ-სტალინის პარტიისადმი, ჩვენი საყვარელი ბელადის ამხ. სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების მძლავრ დემონსტრაციას.

წინ, მეცნიერების მწვერვალებისაკენ!



დღეს ზეიმია

რა უტკბესი მუსიკა ისმის,
რა უტკბესი არის სიმღერა,
დროშების ზღვაში ცურავს ტფილისი
და ნოემბრის მზე ციდან ილვრება.
მოდის მშრომელთა ლეგიონები,
ვისთვისაც შრომა არის დიდება,
ლენინ-სტალინის ბრძენი გონების
უკვდავ არსებად გამოვლინდება.
არის მუსიკა და ყვავილები,
არის ზამბახი და ქრიზანტემა,
მკერდზე სალმუნობს ყარამფილები
და ბაგეები ცეცხლად ინთება
მოვალთ თაობა ჩვენ ბედნიერი,
მოვალთ თაობა მრავალ რასათა,
მოვალთ თაობა და მოვიმღერით
მოვალთ თაობა უწყვეტ მასათა.
ზღვებს იქით ზანგი გაიყიდება,
ზღვებს იქით ვინმეს წვავენ ელდენით,
აქ ყველგან შრომის არის დიდება
და სიხარული ო... რაოდენი.
ყველგან შრიალებს წითელი დროშა,
ყველგან შენობა ცისკენ მაღლდება,
ყველგან ღიმილი ბაგეზე მოჩანს
ყველგან სინათლის აჩირაღდნება.
რა უტკბესი მუსიკა ისმის,
რა უტკბესი არის სიმღერა,
რა უტკბესად მღერის ტფილისი
რა უტკბესი განცდა ილვრება.

მიხეილ ღვალაძე.

სალამი მეცნიერებისა და ტექნიკის ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებს

ქ. ორაგველიძე

ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

ტფილისის სახ. უნივერსიტეტი

ოქტომბრის რევოლუციის 18 წლის თავზე

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირმშო შვილია ოქტომბრის რევოლუციის. მხოლოდ და მხოლოდ მეფის და შემდეგ დროებითი მთავრობის დამხობის და პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვების საფუძველზე შესაძლებელი იყო ყოფილ რუსეთის იმპერიაში შემავალ ერების ეკონომიური და კულტურული აღორძინება.

მართალია, ტფილისის უნივერსიტეტი დაარსდა მენშევიკების ბატონობის პერიოდში. მაგრამ ეს არ მომხდარა თვით მენშევიკების ინიციატივით, არც თუ რაიმე მზრუნველობას უწევდა მას მენშევიკური მთავრობა. ის 120 ათასი მანეთი, რომელიც გაიღეს მენშევიკებმა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, წვეთი იყო ზღვაში. ასეთი „დახმარების“ ნიადაგზე შეუძლებელი იყო საუნივერსიტეტო მუშაობისათვის მატერიალური მტკიცე ბაზის შექმნა.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე მზრუნველობა და დახმარება საქართველოში იწყება საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით. ყოველწლიურად იზრდებოდა ჩვენი ბიუჯეტი და მიმდინარე წელს მან გადააჭარბა **თერთმეტ მილიონ მანეთს,** მენშევიკების ას ოცი ათასი მანეთის წინააღმდეგ. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირობებში თანდათან მტკიცდებოდა ჩვენი უნივერსიტეტი, ვაჟკაცდებოდა იგი. 1930 წლისათვის ის უკვე გადაიქცა დიდი მნიშვნელობის სამეცნიერო კულტურულ ცენტრად.

უნივერსიტეტის მუშაობის განმტკიცების საფუძველზე ჩვენში შესაძლებელი გახდა მთელი რიგი ახალი ინსტიტუტების ჩამოყალიბება და განმტკიცება (სასოფლო-სამეურნეო, მედიკური, პედაგოგიური და სხვ.).

1933 წლის დასაწყისიდან, ამიერ კავკასიის ბოლშევიკების ნაცად ხელმძღვანელის ამხ. **ლ. ბერიას** წინადადებით ხელახლა არსდება ტფილისში სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მთელი ამ წლების განმავლობაში წარმოადგენდა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის და ამ.-კავკასიის სამხარეო კომიტეტის საზრუნავ საგანს. ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, პირადათ ამხ. ლ. ბერია, უწევდენ ჩვენს უნივერსიტეტს ყოველდღიურ დახმარებას.

ამ აქტიური დახმარებისა და ზრუნვის შედეგად, უნივერსიტეტის სამეცნიერო-პედაგოგიური პერსონალისა და პარტიულ ორგანიზაციის მუშაობის შედეგად გახდა შესაძლებელი ის დიდი მიღწევები, რომელიც ჩვენ გვაქვს ოქტომბრის რევოლუციის 18 წლის თავზე.

დღეს უკვე აღარაა ჩვენი უნივერსიტეტი ერთი ან ორი ფაკულტეტით, ყოველგვარი მატერიალური ბაზის გარეშე, სასაცილოდ პატარა ბიუჯეტით, როგორც ეს იყო მენშევიკების დროს.

დღეს ჩვენი უნივერსიტეტი უდიდესი მნიშვნელობის სამეცნიერო-სასწავლო ცენტრია ორდენოსანი საბჭოთა საქართველოსი.

დღეს ჩვენი უნივერსიტეტი აერთიანებს 5500 სტუდენტზე მეტს (მუშფაკით), რომლებიც სწავლობენ 10 სხვადასხვა ფაკულტეტზე.

დღეს ჩვენი უნივერსიტეტი აერთიანებს 400-მდე პროფესორს, დოცენტს, ასისტენტსა და მასწავლებელს.

დღეს ჩვენი უნივერსიტეტის მატერიალური და ფინანსიური ბაზა (11 მილიონი მან. 1935 წ.) მტკიცეა, როგორც არასოდეს.

დღეს ჩვენს უნივერსიტეტში არსებობს მთელი რიგი სამეცნიერო ინსტიტუტები მთელი რიგი საუკეთესო მეცნიერულ თანამშრომლებით რომელთა მუშაობა და სახელი ცნობილია საბჭოთა კავშირში და სხვა ქვეყნებშიაც.

დღეს ჩვენს უნივერსიტეტს აქვს კარგი საგამომცემლო ბაზა, მთელი რიგი ლაბორატორიები და კაბინეტები.

დიდია მიღწევები ოქტომბრის რევოლუციის 18 წლის თავზე, მაგრამ კიდევ უფრო დიდია ის ამოცანები, რომლებიც უნივერსიტეტის წინაშე სდგას.

მთავარია დღეს ჩვენთვის **ბრძოლა სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის ხარისხის** გადაჭრით ამაღლებისთვის.

მრავალი კადრები გამოსჭედა უნივერსიტეტმა თავის „სახელოსნოში“ გასული წლების განმავლობაში.

მაგრამ ჩვენი ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობა აყენებს ჩვენს წინაშე ამოცანას კიდევ უფრო მაღალ კვალიფიკაციის კადრების მომზადებისა.

სოციალისტურ სახალხო მეურნეობას სჭირდება **უმაღლესი კვალიფიკაციის მათემატიკოსები, გეოლოგები, გეოგრაფები, ქიმიკოსები, ზოოლოგები, ბოტანიკოსები, ეკონომისტები და სხვ.**

ასეთი კადრები უნდა მივსცეთ ჩვენ ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თავის წიაღში უნდა გამოსჭედოს და მისცეს ჩვენს ქვეყანას მთელი არმია თავდადებული, მებრძოლი, მაღალ კვალიფიკაციის მათემატიკოსებისა, გეოლოგებისა, გეოგრაფებისა და სხვ.

კიდევ მეტი, ჩვენ უნდა მივსცეთ ჩვენს ქვეყანას ნამდვილი სტახანოვები სოციალისტური მეცნიერებისა.

ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი მუშაობის ხარისხის რადიკალური გაუმჯობესებით.

უნივერსიტეტის მუშაობის ყველა დარგში ჩვენ ამ დიადი ამოცანიდან უნდა გამოვდიოდეთ.

ვინც უნდა იყოს იგი, პროფესორი თუ ასისტენტი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, მასწავლებელი თუ სტუდენტი, ყველა უნდა იყოს გამსჭვალული **ერთი გრძნობით—სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით და აქედან გამომდინარე მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის გადამჭრელი ბრძოლის სურვილით.**

სადაც არ იქნება ეს, აუდიტორიაში თუ ლაბორატორიაში, კაბინეტში თუ სამეცნიერო ინსტიტუტში, ყოველგან ჩვენი უნივერსიტეტის მუშაკებს **ეს ერთი გრძნობა და თავდადებული ბრძოლისადმი განწყობა უნდა ასულდგმულებდეს.**

ჩვენ გვაქვს ყველა შესაძლებლობა იმისა, რომ ჩვენი უნივერსიტეტი სანიმუშო უნივერსიტეტად გავხადოთ; ჩვენ გვაქვს ყველა შესაძლებლობა იმის, რომ ჩვენი უნივერსიტეტი საკავშირო მნიშვნელობის დიდ სამეცნიერო-სასწავლო ცენტრად გადავაქციოთ.

ჩვენი სახელოვანი პარტია და საბჭოთა ხელისუფლება გვიწევს ჩვენ ყოველდღიურ ხელმძღვანელობას და დახმარებას.

საღია სულიერი განწყობილება ჩვენი საბჭოთა პროფესურის და პედაგოგების, საღია სულიერი განწყობილება ჩვენი სტუდენტობის და მტკიცეა მისი სურვილი დაეუფლოს მეცნიერების მწვერვალებს.

ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. ჩვენი აქტივობით, ჩვენი ენერგიული სტახანოვისებური მუშაობით უნდა გადავწყვიტოთ ჩვენის უდიდესი ამოცანა, რომელიც უნივერსიტეტის წინაშე სდგას.

წინ ახალი გამარჯვებებისაკენ, ჩვენი პროლეტარული სტუდენტობის პოლიტიკური, აკადემიური და კულტურული დონის გადაჭრით ამაღლების საქმეში.

წინ ახალი გამარჯვებებისაკენ ჩვენი სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის საქმეში.

გეოლოგია საბჭ. საქართველოში

კავკასია და კერძოთ საქართველო იმ თავითვე იპყრობდა გეოლოგების ყურადღებას, მაგრამ [illegible] საქართველოში გეოლოგია მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განვითარდა. ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკამ და სოციალისტურმა მშენებლობამ ეს მეცნიერებაც სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ დასაყრდენად გადააქცია.



პროფ. ბერიტაშვილი კაბინეტში მუშაობის დროს

ოქტომბრამდე ჩვენში არ იყო არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი, რომელშიაც გეოლოგია წარმოდგენილი ყოფილიყო, არც ერთი საკვლევო დაწესებულება ამ დარგში არ არსებობდა არც კადრები.

დღეს გეოლოგია ისწავლება სახელმწიფო უნივერსიტეტში და მრავალ უმაღლეს და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში. სპეციალისტებს გეოლოგიის დარგში ამზადებს, როგორც უნივერსიტეტი, ისე ტფილისის ინდუსტრიალური ინსტიტუტი. უნივერსიტეტს აქვს საკმაოდ კარგი ლაბორატორია, რომელიც ორივე ამ სასწავლებელს ემსახურება.

იზრდება, უკვე გაიზარდა კადრებიც. ამ ჟამად ტფილისში მუშაობს რამოდენიმე საკვლეო დაწესებულება (საქ. გეოლოგიური ინსტიტუტი, მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის საქართველოს ფილიალის გეოლოგიური სექტორი და სხვა), რომელნიც მთლიანად ადგილობრივ კადრებს ეყრდნობიან. ამათ უნდა მივუმატოთ სამეცნიერო-გამოყენებითი დაწესებულებების მთელი რიგი.

მეცნიერული პროდუქცია, რომელსაც ეს ახალგაზრდა ძალები იძლევიან უკვე საკმაოდ მაღალ დონეზე დგას. „საქ. გეოლოგიური ინსტიტუტის მოამბეს“ კარგად იცნობენ სპეციალისტების ფართო წრეებში.

ჩვენი ქვეყნის მინერალური რესურსების შესწავლა, მიუხედავად იმ დიდი გაქანებისა, რომელიც ამ საქმემ მიიღო უკანასკნელ წლებში, თითქმის მთლიანად ჩვენივე კადრების საშუალებით სწარმოებს. საკმაო იქნება მოვიგონოთ ქვანახშირის, შავი ქვის, დარიშხანის, მოლიბდენის და სხვის მრავლის გეოლოგიური გამოკვლევა.

როდესაც ერთი წლის წინათ საქართველოს გეოლოგიური საზოგადოება დაარსდა, მან უკვე სამასამდე წევრს მოუყარა თავი!

მაგრამ არც ეს რიცხვი, არც ის ხარისხი მთავარი მიღწევა არ არის. მთავარია, რომ ჩვენ გვყავს მოზარდილი მეცნიერული კადრები, რომელნიც დაწყებულ საქმეს წინ წაიყვანენ და გეოლოგიასა და სოციალისტურ მშენებლობას შორის დაამყარებენ იმ ნაყოფიერ კავშირს, რომელიც მეცნიერებას და შრომას უნდა აერთებდეს.

პროფ. **ალ. ჯანელიძე**

როგორ ვხვდები ოქტომბრის 18 წლის თავს

1921 წლის შემდეგ, როდესაც მოხდა საქართველოს გასაბჭოება, უნივერსიტეტს რამდენსამე ხანს საგრძნობელი ცვლილება არ ეტყობოდა. მსოფლიო ისტორიის დარგი (დას. ევრ. და ძველი ისტ.) რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი მეტად ღარიბი იყო კადრებით. ერთ ხანად ჩემს მეტი არავინ არ იყო. კადრების მომზადების საქმეში მრავალნაირი დაბრკოლება არსებობდა. მომზადების მსურველი ახალგაზრდობა არაფრით არ იყო უზრუნველყოფილი — არც ნივთიერი დახმარებით და არც სისტემატიური ხელმძღვანელობით. შემდეგ, როდესაც უნივერსიტეტმა დაიწყო საბჭოთა სისტემაზე გადასვლა მდგომარეობა სულ მოკლე ხანში შეიცვალა. დას. ევრ. ისტორიის დარგმა მას შემდეგ რამდენიმე მომზადებული ძალა გამოზარდა, რომელთაგანაც ახლა ზოგი თვით უნივერსიტეტში მუშაობს, ზოგი სხვა უმაღლეს სასწავლებელში. ამ ორ წელიწადში კიდევ რამდენიმე ახალი კვალიფიციური მუშაკი მოემატება უნივერსიტეტს ამ დარგში.

სამეცნიერო მუშაობის თემატიკა არა ჩვეულებრივად გაფართოვდა. ამჟამად მე ვმუშაობ ფეოდალურ მეურნეობის განვითარების და ჩამოყალიბების საკითხზე და აგრეთვე ისტორიოგრაფიის საკითხზე, საქართველოს ისტორიოგრაფიის შიგ ჩართვით. ამხ. ნამორაძე მუშაობს საფრანგეთის რევოლუციის დროის აგრარულ რეფორმის შესახებ გამოკვლევაზე და ამხ. ბურჭულაძე მეორე ინტერნაციონალზე.

პროფ. გ. ნათაძე

ოქტომბრის რევოლუციის 18 წ. თავისათვის

ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ ძირითადი გარდატეხა მოახდინა მსოფლიო ისტორიაში. კერძოდ ეს უნდა ითქვას მეცნიერული, კვლევა-ძიებითი მუშაობის შესახებ. ახალი ცხოვრება, რომელიც მეცნიერული სოციალიზმის საფუძველზე შენდება, რასაკვირველია, გვერდს ვერ აუვლიდა მეცნიერებას, ამით აიხსნება, რომ აღნიშნული მუშაობის დარგში ჩვენ ვხედავთ პირდაპირ საოცნებო, ისტორიაში არნახულ გაქანებას. ჩნდება ახალი კერები და ცენტრები მეცნიერული შემოქმედებისა აკადემიების, უნივერსიტეტების და საკვლევ-ძიებო ინსტიტუტების სახით, იზრდება ახალი კადრები, ფართოვდება და ღრმავდება მუშაობა. ასეა ყველგან კავშირში, ასეა საქართველოში, ასეა კერძოდ იმ სამეცნიერო დარგში, რომლის ერთერთ წარმომადგენლად მე ვითვლები ჩვენს უნივერსიტეტში, სახელდობრ ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

არც ისე შორს წასულა ჯერ კიდევ ჩვენგან შავბნელი დრო საშინელი ცარიზმისა, როდესაც ქართული ენის, ისტორიის და ლიტერატურის შესწავლა დანაშაულად ითვლებოდა და „პოლიტიკურად მიუღებელი“ ადამიანის დაღად იყო მიჩნეული; მეფის მთავრობა, რასაკვირველია, არ შეუწყობდა ხელს ისეთ საქმიანობას, რაც დაჩაგრული ერის თვითგამორკვევას ემსახურებოდა. რას ვხედავთ დღეს? საბჭოთა სისტემამ კულტურული მემკვიდრეობის საკითხი ისე დააყენა და გადაწყვიტა, რომ დანაშაულად ითვლება დღეს არა **შესწავლა** კულტურული წარსულისა, არამედ **არშესწავლა** მისი. გასაკვირი არ არის ამიტომ, რომ ქართული ლიტერატურის კათედრას, მის ჯეროვან მეცნიერულ სიმაღლეზე დაყენებას დიდი ყურადღება ექცევა ჩვენი უნივერსიტეტის პედაგოგიურსა და საკვლევ-ძიებო სისტემაში, არც ისაა გასაკვირი, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიის მეცნიერული მუშაობის წარსამართავად შექმნილია უნივერსიტეტთან საგანგებო საკვლევ-ძიებო ინსტიტუტი „რუსთველის“ სახელობისა, რომელშიაც დიდი მასშტაბის მუშაობა წარმოებს. ერთი სიტყვით, ჩვენს სპეციალურ დარგში საბჭოთა ხელისუფლების დროს გაკეთდა იმდენი, რაც წინათ მთელი საუკუნეების განმავლობაში არ გაკეთებულა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შეაფასა ღირსეულად ჩვენი ლიტერატურული მემკვიდრეობა, ამას ადასტურებს კლასიკოსების გამოცემაზეც რომ არ ვილაპარაკოთ, ის იუბილეები, რომელიც ყოველწლივ თითქმის იმართება ამათუიმ მწერლის ხსოვნის აღსანიშნავად: ამას ადასტურებს განსაკუთრებით ის ფაქტი, რომ პარტიისა და ხელისუფლების ინიციატივით მზადდება გრანდიოზული საიუბილეო დღესასწაული ფეოდალური საქართველოს უდიდესი პოეტის, შოთა რუსთველის, ხსოვნის პატივისაცემად; ამასვე ადასტურებს, დასასრულ, ისიც, რომ დღეს მხოლოდ ეყრება საფუძველი ჩვენი კლასიკოსების თარგმნას მოძმე რესპუბლიკათა ერების ენებზე, რითაც მათი გენიის შემოქმედება ხელმისაწვდომი ხდება მთელი ჩვენი კავშირის პროლეტარიატისათვის. ეს ყველაფერი შედეგია ნაციონალური საკითხის სწორად გაგებისა და გადაჭრისა. რაც მხოლოდ ლენინ-სტალინის დიდმა პარტიამ შეძლო.

ამჟამად მე პირადად, გარდა მორიგი ისტორიულ-ლიტერატურული პრობლემებისა, ვმუშაობ „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემის კომისიაში, შესანიშნავი რომანის „ვისრამიანის“ ტექსტზე, მისი გამოცემის მიზნით, და მეთვრამეტე საუკუნის ცნობილ ენციკლოპედიაზე, რომელსაც „კალმასობა“ ეწოდება.

პროფ. **კ. კეკელიძე.**



დამსახურებული მეცნიერი. ა/კ. ცაკის წევრი პროფ. თვალჭრელიძე.

ნ. მუსხელიშვილი

მათემატიკური ფაკულტეტის დეკანი

რაზე ვმუშაობ

ჩემი შრომები უმთავრესად ეხება გამოყენებით, მათემატიკის ერთერთ დარგს—**დრეკადობის თეორიას.** ამ დარგში მუშაობა მე დავიწყე 1914 წლიდან, მაგრამ მნიშვნელოვან შედეგების მიღება შევძელი მხოლოდ **1918 წელს,** როდესაც მოვახერხე ახალ საკმაოდ ზოგადი მეთოდის შემუშავება ეგრ. წოდებული ბრტყელი ამოცანის ამოსახსნელად. ამ ამოცანას აქვს როგორც თეორიული აგრეთვე საკმაოდ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. მიზნად დასახული მქონდა ისეთი მეთოდების შექმნა, რომ შესაძლო ყოფილიყო მათი საშუალებით ტექნიკის მიერ დასმულ საკითხების ეფექტიური და მარტივი გადაწყვეტა.

ჩემ პირველ მთავარ შრომაში (1918 წ.) მე ამ მიზანს მხოლოდ ნაწილობრივ მივაღწიე: ჩემი მეთოდით შესაძლო იყო დასახელებულ ამოცანის პრაქტიკული ამოხსნა მხოლოდ გარკვეული ტიპის შემთხვევებში. ამ მეთოდის განვითარებაზე და გაუმჯობესებაზე მე ვიმუშავე რამდენიმე წლის განმავლობაში **შედეგები:** გამოქვეყნებული მაქვს წიგნში: „დრეკადობის თეორიის ძირითადი ამოცანები“ რომელიც გამოცემულია მეცნიერების საკავშირო აკადემიის მიერ 1933 (მე-2 გამოცემა 1935 წ.)

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მე მოვახერხე კიდევ ახალი მეთოდის შექმნა, რომელიც უკვე იძლევა ბრტყელ ამოცანის ეფექტიურ ამოხსნას ზოგად შემთხვევაში. მეთოდის გამოყენება წარმოადგენს ჩემი ახლანდელი მუშაობის მთავარ საგანს. ამავე საკითხზე ჩემთან ერთად, მუშაობს რამოდენიმე მათემატიკოსი და ინჟენერი როგორც საქართველოში, ისე საბჭოთა კავშირში.

ის ყურადღება, რომელიც ექცევა პარტიისა და ხელისუფლების მხრივ მეცნიერულ მუშაობას, მაძლევს უდიდეს სტიმულს ჩემი მუშაობის და ნაყოფიერად გაგრძელებისათვის.

რა პრობლემებზე ვმუშაობ.

გასული წლის ზაფხულში ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მივლინებული ვიყავი მოსკოვსა და ლენინგრადში ზოგიერთი მასალების დასამუშავებლად ჩაის კულტურისა და ჩაის მრეწველობის ეკონომიკის შესახებ. ჩემ მიერ რამოდენიმე თვის მუშაობის შემდეგ უკვე დაწერილია განზრახული შრომის „ჩაის კულტურისა და ჩაის მრეწველობის ეკონომიკის“ 4 თავი. შრომა მთლიანად დამთავრებული უნდა იქნას უახლოესი თვეების განმავლობაში. ორი თავი აღნიშნული შრომისა იბეჭდება ჟურნ. „საქ. სოციალისტური მეურნეობის“ მორიგ ნომერში. მოსკოვში ყოფნისას ჩემ მიერ დამზადებული იქნა პოპულარული შრომა „მეორე ხუთწლედის ამოცანები“. იგი სათანადო დროს იქნა დაბეჭდილი. ამჟამად დავალებული აქვს ავტორთა კოლექტივს ჩემი მონაწილეობით შედგენილ იქნას კრებული წერილებისა სახალხო მეურნეობის განვითარების ცალკეული საკითხების შესახებ. აღნიშნული კრებული განზრახულია სტუდენტობისათვის. იგი გამოცემული უნდა იქნას 1936 წ. პირველ მეოთხედში. უნივერსიტეტის ფურცელში დასაბეჭდათ გადავეცი ვრცელი რეცენზია ერთერთ ქართველ ახალგაზრდა მუშაკის შრომაზე.

ვ. ბახტაძე

რაზე ვმუშაობ ამჟამად

შეკითხვაზე, თუ რას ვაკეთებ ამჟამად და როგორ ვხვდები დიდი ოქტომბრის წლის თავს, შემიძლია გიპასუხოთ შემდეგი: **მეცნიერულ-საკვლევო მუშაობის ხაზით:** ამ დღეებში გადავეცი ს. ს. რ. კ. მეცნიერებათა აკადემიის საქფილიალში გამოსაცემად „ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის“ პირველი ტომი; თითქმის დამთავრებული მაქვს მასალების შეგროვება მეორე ტომისათვის. ეს თხზულება შეიცავს ქართული პერიოდიკის განვითარებას 1819—1905 წ. წ. პერიოდში და წარმოადგენს ერთგვარ გაგრძელებას 1929 წ. ჩემ მიერ გამოქვეყნებულ ნარკვევის, — „ქართული წიგნი 1629—1929 წ.წ.“ —, რაშიც მოცემულია ერთდროულ ქართულ გამოცემათა ისტორია; ამ წიგნების სახით გამოქვეყნებული იქნება მასალები



ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის მე-19 საუკ., მეორეს მხრივ, ექვსი წელია რაც ვმუშაობ ამავე პერიოდში (XIX საუკ.) „საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარების ისტორიაზე“. ამ უკანასკნელი საკვლევო მუშაობიდან, მომავალ წლის ზაფხულისათვის ვფიქრობ დასაბეჭდათ გავამზადო I ტომი; აქედანვე საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის შეკვეთით დავსწერე და გადავეცი სტატია „ა/კავკასიაში კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება“, აგრეთვე ტ. ს. უნ-ტის ორგანოს — „საბჭოთა მეცნიერება“ — მორიგ ნომერში დასაბეჭდად გადავეცი ნარკვევი: „კოლონიზაცია საქართველოსა და ა/კავკასიაში მე-19 საუკ. პირველ ნახევარში“, ვამზადებ კიდევ დასაბეჭდათ პოპულიარულ ნარკვევს: „საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარება მე-19 საუკ. პირველ ნახევარში“.

ყოველგვარი პირობები შექმნილია, რათა, როგორც საკვლევო-მეცნიერული ისე პედაგოგიურ მუშაობაში ჩემს წინაშე დასახული ამოცანები წარმატებით იქნას გადაჭრილი.

პაატა გუგუშვილი.

ბენ. ბუაჩიძე

ქართული ლიტერატურა და ოქტომბერი

ოქტომბრის რევოლუციამ მხატვრულ ლიტერატურასაც ახალი და უჩვეულო განვითარების საშუალება მისცა. არც ერთი ეპოქის ლიტერატურას არ ქონია ისეთი მართლაც და არსებითი თავისუფლება, ისეთი ფართო ასპარეზი, როგორც აქვს პროლეტარული რევოლუციის ეპოქის ლიტერატურას. ეხლანდელ ბურჟუაზიულ ევროპაში მხატვრული ლიტერატურა გამოუვალ ჩიხშია მოქცეული. სკეპტიციზმი, უმიზნობა, პერსპექტივის უქონლობა, ყალბი, უსიცოცხლო, მახინჯი იდეები—არის განმსაზღვრელი კაპიტალისტური ევროპის ლიტერატურისთვის. დასავლეთის ლიტერატურის უნიჭიერესმა კორიფეებმა, რომელთაც შესძლეს რევოლუციონურ შეგნების სიმაღლემდე ასვლა, საბჭოთა კავშირის სოციალისტურ მშენებლობის ენტუზიაზმში ჰპოვეს გამოსავალი. რომენ როლანი, განსვენებული ანრი ბარბიუსი, ანდრე ჟიდი, დრაიზერი, დოს-პასოსი და სხვ. პროლეტარულ რევოლუციის მხარეზე დადგენ და საბჭოთა კავშირის ერთგული დამცველი გახდენ. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს მას რომ ჩვენს ეპოქაში შემოქმედებითი სიცოცხლე და წინსვლა, მხოლოდ რევოლუციონური [illegible] შესაძლებელი. ამ გზის იქეთ ფაშისტური ლიტერატურის იაფფასიანობაა, არა მხატვრული, მშრალი სქემებია. ამ დებულების ბრწყინვალე დამადასტურებელია ქართული ლიტერატურაც. მენშევიკურმა საქართველომ ვერც ერთი დიდი ნაწარმოები ვერ შექმნა, ვერც ერთი დიდი მწერალი ვერ გამოზარდა. იმ დროინდელი ლიტერატურა დაჩანაკებული დაქნიჭებული იყო მწერლობის ის ნაწილიც რომელნიც პროლეტარული რევოლუციის შემდეგ რეაქციის, კონტრრევოლუციის, ნაციონალიზმის იდეებით იკვებებოდენ, მკვდარი, მხატვრულად უმკრთალი, მშრალი პოლიტიკური ტენდენციით გამსჭვალულ ნაწარმოებს იძლეოდენ. მათ ახასიათებდათ ზრდის მაგიერ—უკან სვლა. ოქტომბრის შემდგომი ქართული მწერლობის ძირითადი დამახასიათებელ პროცესი წინსვლაა, შემოქმედებითი აყვავებაა, უჩვეულო გაშლაა. პროლეტარული რევოლუციის იდეებმა და სოციალიზმის პრაქტიკამ ახალი შემოქმედებითი სიცოცხლე შთაბერა ჩვენი მწერლობის კადრებს. გაიშალა მძლავრი, ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა. უჩვეულოდ გაიზარდა მწერლობის საზოგადოებრივი დიაპაზონი. განმტკიცდა წარსულთან შეუდარებელი ნაყოფიერება. მოხდა მთელ რიგ ცნობილ შემოქმედთა ხელმეორედ დაბადება. დაიწერა წიგნები: რომანები, პოემები. გაიფურჩქნა ოპტიმიზმით, სიხარულით, სიცოცხლის მღელვარებით აღსავსე ლირიკა. ადგილი ჰქონდა რევოლუციურ ეპოპეის დაწერის ნაყოფიერ ცდებს. აღიზარდა მწერალთა ახალი კადრები. შეიქმნა და განმტკიცდა პროლეტარული მწერლობა. მუშა და კოლმეურნე მწერლობაში შევიდა, არა მარტო როგორც მკითხველი, არამედ როგორც შემომქმედიც. გამრავალფეროვანდა მწერლობის თემატიკა. საბჭოთა მწერლობამ დაიუფლა რევოლუციურ იდეების ცხოველმყოფელობა. ამაღლდა მხატვრული ლიტერატურის ხარისხი. მდიდარი, ღრმა და მრავალ-მხრივი გახდა ფორმა, მხატვრული მხარე, სინამდვილედ იქცა ჟანრობრივი სიუხვე. აზრის სიღრმე, იდეური სიმახვილე, პრობლემურობა აუცილებელ და არსებით მოვლენად იქცა მწერლობისათვის. რევოლუციის ხუთმეტი წლის განმავლობაში დაიწერა ბევრი ისეთი ნაწარმოები, რომელნიც ჩვენი ეპოქის დამახასიათებელ და საამაყო დოკუმენტებად დარჩებიან. რევოლუციის იდეებმა ფრიად ნაყოფიერ გახადა მთელ რიგ მწერალთა შემოქმედება. ქართული მწერლობის უნიჭიერესმა პოეტმა გალაქტიონ ტაბიძემ რამოდენიმე შესანიშნავი პოემა დასწერა რევოლუციის, სოციალისტური საქართველოს შესახებ. გალ. ტაბიძის ბრწყინვალე ლირიკა სოციალიზმის პრაქტიკათა და იდეებითაა გამსჭვალული. დიდი დუმილის შემდეგ მიხ. ჯავახიშვილმა საბჭოთა ხელისუფლების დროს დაიწყო ნამდვილი და დიდი მწერლის გზა. მან მომწიფებული შემოქმედის ძალა გამოიჩინა იმ ნაწარმოებებში, რომელნიც რევოლუციის იდეებს უახლოვდებოდენ. ასეთია, შეცდომების შემცველი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი ნაწარმოები: „ჯაყოს ხიზნები“. დიდი მერყეობის და მავნე, მემარჯვენე შეცდომების შემდეგ მ. ჯავახიშვილმა დასწერა რომანი „არსენა მარაბდელი“. ეს რომანი უეჭველად რევოლუციის იდეების გავლენითაა დაწერილი და საბჭოთა მწერლის ღირსეული ნაწარმოებია. დემნა შენგელაია, რევოლუციის წლებში ჩამოყალიბდა როგორც სერიოზული და ნაყოფიერი მწერალი. მისი რომანები საბჭოთა მწერლობის აქტიურ ფონდში შედიან. გაიზარდა ლეო ქიაჩელის შემოქმედებითი ნაყოფიერება. რევოლუციამდე ჩამოყალიბებულ კადრებიდან ბევრმა სცადა ახალ საფუძველზე აეგო თავის მუშაობა. ამ ხაზით თვალსაჩინოა ს. შანშიაშვილის მუშაობა. საყურადღებოა ისეთი ოსტატის, როგორიც ნიკ. ლორთქიფანიძეა ცდა „ბილიკებიდან ლიანდაგზე“ დაწერის სახით. განმტკიცდა პოეტთა რიგები. რევოლუციამ აღზარდა ისეთი თვალსაჩინო და საინტერესო პოეტი, როგორიც სიმონ ჩიქოვანია. გაიშალა და გაღრმავდა პროლეტარულ პოეტთა შემოქმედება.

ამ ხუთმეტი წლის განმავლობაში აღიზარდა პროლეტარული პოეტების ნიჭიერი და დიდი პერსპექტივების მქონე კადრები. უკვე ბევრი რამ თვალსაჩინო და ღირსშესანიშნავი დასწერა ალიო მაშაშვილმა, კონსტ. ლორთქიფანიძემ, კ. კალაძემ, გ. კაჭახიძემ, ირ. აბაშიძემ და სხვ. იზრდება და [illegible] იდებისგზაზე ადგია ნიჭიერ ახალგაზრდობის ახალი და ახალი კადრები.

რევოლუციის მწერლობის დიდი გამარჯვების მაუწყებელია კონსტ. ლორთქიფანიძის „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“ და პავლე საყვარელიძის რომანები. ამ წლების განმავლობაში მოიპოვა მარქსისტულმა კრიტიკამ თავის ხმა და თავის ადგილიც, ჯერ კიდევ სუსტი და არა სრულყოფილი მაგრამ კრიტიკის არსებობა ხელშესახები და შესამჩნევია. ძველებური მორალის კრიტიკა შესცვალა პროფესიონალურმა, ზრდის პროცეში მყოფმა კრიტიკამ. ახალი კადრების აღზრდის, ლიტერატურის ისტორიის დამუშავებისა და კვლევა-ძიების ხაზით ბევრი რამ გააკეთა ჩვენმა უნივერსიტეტმა. დაიწერა ლიტერატურის ისტორიის საკითხებზე და ცალკეულ პრობლემებზე მთელი რიგი შრომები. აღიზარდა ახალგაზრდა სამეცნიერო კადრები.

ბევრი რამ და უმთავრესიც ჯერ კიდევ გაკეთებული არ არის. ეს აწყმსა და მომავლის ენერგიული მუშაობის საქმეა.

ოქტომბრის რევოლუციამ მხატვრულ მწერლობის და ლიტერატურის მეცნიერებას მუშაობის უჩვეულო, შესანიშნავი პირობები შეუქმნა. რევოლუციის საფუძველზე ლიტერატურის დარგშიდაც ბევრი რამაა გაკეთებული. მომავალში კიდევ მეტი და კიდევ უკეთესი მუშაობა უნდა გაიშალოს. ლიტერატურის ფრონტმა პარტიის ნდობა, სიყვარული, მუდმივი მზრუნველობა. კიდევ მეტი სიღრმით უნდა გაამართლოს.

პროლეტარული რევოლუციის მწერლობას ბრწყინვალე პერსპექტივები აქვს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალამი სოციალისტურ სამშობლოს ბედნიერ თაობას

სერგო ჭილაია

ოქტომბრის საამაყო თაობა

ისინი ჩვენი სოციალისტური სამშო-
ლოს ღვიძლი შვილები არიან. ზოგი მა-
ნი მსოფლიო ოქტომბრის ქარცეცხლ-
იბადა, დედა აკვანში არწევდა და
ამფქვევების საზარელ ზუზუნში მშო-
იურ ნანას უმღერდა ოქტომბრის რე-
ლუციის ზღაპრულ გმირებზე. ზოგი მა-
ნიც ნორჩი იყო როდესაც იბადებოდა

მკვრელი, ფრიადოსანი სტუდენტი ამხ. ლ. ცინცაძე

ერი დღეს მათ საკუთარ ხსო-
ოდნავ ციმციმებს მსოფლიო ომის
ნელ ხოცვა-ჟლეტის სურათი ტყვია
ქვეელის და შაშხანების კაკანი ხი-
ანი ჟანდარმერიის სილუეტი გონების
რმეში დაჩალა.
სოციალისტური ქვეყანა გაიზარდა და
აბუკდა, მის კალთებზე გაიზარდა
თაობაც. რა მალე მოხდა ყოველივე
რა პატარა და მოკლე მანძილი, რო-
კინემატოგრაფიის სურათივით გა-
ნა 18 წელმა, ამ უდიდეს მიღწევების
სიხარულის დღეებმა? რა ჩქარა გა-
რდა და დაჰაბუკდა სოციალისტური
ობლო მხარე სიხარულისა და წარმ-
ი ალმაფრენის.
ს შეუძლია ჩამოთვალოს ის მიღწე-
, რასაც ეს თვრამეტი წელი იტევს,
ენი მამაცი უშიშარი და თავდადებუ-
გმირი აღზარდე, ოქტომბერო, შენს
ებს ქვეშ? რამდენი რამ უჩვეულო და
ული გააკეთე შენ, ჩვენო 18 წელო!
გორ წარმტაცად აყვავდა ჩვენი სა-
ლო, როგორ გმირულად იმორჩი-
უჩვეულო სიძნელეებს მშობლიური
„არ არსებობს ციხე სიმაგრე,
იც შენ არ აგეღოს".

რა ბედნიერია ჩვენი თაობა, რა წარმტაცია ჩვენი დღეები! რამდენი სიყვარული, სიცოცხლე და თავდადება დაბადე შენ მშობლიურ ახალგაზრდობის გულში? გაიზარდა ჩვენი თაობის თავდადება და უშიშრობა, განა ცოტაა ჩვენს ბედნიერ ქვეყანაში წარჩინებულნი, ნამდვილი გმირები' რომლებიც მამაცურად დაუფლებიან მეცნიერებას, ტექნიკას, რომლებიც იმორჩილებენ სტრატოსფეროს. ყინულოვან ზღვებს, თვალუწვდენელ სივრცეებს. ბუნების უძლეველ ძალებს.

გაიზარდა ჩვენი ახალგაზრდობის უმაგალითო ჰორიზონტი ბრძოლისა და ცხოვრების წარმტაცი პერსპექტივების ეპოქაში. დაჰაბუკდა, ჩვენი თაობა, აღმოიფხვრა

ფრიადოსანი სტ. გ. მაჩიტაძე

წყეული წარსულის უკულტურობისა და უვიცობის ნაშთები. რამდენად უსუსურად გამოიყურება დღეს ძველი ტრადიციის ძონძებში გახვეული შეხედულობა ქალზე, რომ ის არ შეიძლება იყოს მეცნიერული მუშაკი, მამაკაცთან თანასწორ უფლებიანი, ხელმძღვანელი, თუ დირექტორი. როგორ დაამსხვრია ეს შეხედულება ჩვენმა სინამდვილემ.

მარტო ჩვენ უნივერსიტეტში საკმაოდაა ქალები რომლებიც მეცნიერ მუშაკის საპატიო სახელისათვის არის მოწოდებულნი, ჩვენი ფრიადოსნები ხომ ჩვენი გოგონების დიდ ნაწილისგან შედგება.

მშრომელ ახალგაზრდობის გული ბედნიერებით, სიხარულით. და სიამაყით აავსო ოქტომბერმა. რა შესანიშნავად ჟღერს „მე-18 ტე ოქტომბერი". რამდენი სიხარული და სიყვარულია ამ სიტყვაში.

მართლაც ბედნიერია ჩვენი ქვეყანა, უბედნიერესია ჩვენი თაობა, რომელიც ცხოვრობს, სწავლობს, და იზრდება სოციალისტურ სამშობლოში. რომელმაც არ იცის, თუ რა არის შიში, მწუხარება და ჩაგვრა.

ნახეთ ჩვენი სტუდენტები, ჩვენი უნივერსიტეტის გოგონები და ბიჭები დააკვირდით მათ, სიხარულისგან როგორ უბრწყინავთ თვალები, შეხედეთ რა მონდომებითა და ენტუზიაზმით მუშაობენ საბჭოთა მეცნიერების კაცობრიობის მიერ შექმნილი კულტურის დაუფლებისთვის. როგორი ალმაფრენით იმორჩილებენ ისინი მეცნიერების ციხე სიმაგრეს.

შეაღეთ ჩვენი აუდიტორიის კარები გული სიხარულით აგევსებათ, მილიონ ახალგაზრდობის სიხარულის განცდით.

ჩვენს უნივერსიტეტს ჰყავს მოწინავე და წარჩინებული სტუდენტები, ფრიადოსნები აი მათი სახელი და გვარიც. ცინცაძე ლუკა, ბერაია ნინა, მაჩიტაძე გიორგი, გელოვანი რუსუდანი, ტატიშვილი ნიკო, მამალაძე ალექსანდრე, ადამია მერი, ბეროძე ო. ხარონაული ვარა. ს. ბოცვაძე გ. რუხაძე კ, შეროზია, კ. ხუნჯუა შ. მენაბდე ვ. კაკაბაძე. ი თაბუკაშვილი, შ ხიტორია. უკლება და სხვა.

დამკვრელი სტ. ი. მამამთავრიშვილი

ჩვენი გოგონები და ბიჭები საამაყონი არიან სწავლაში ნახეთ მათი მატრიკულები და ისინი ყველაზე კარგათ მოგითხრობენ მათ მამაცობაზე, გმირობაზე და ღირსებაზე: ისინი ყოველმხრივ სანიმუშო და მისაბაძი ადამიანები არიან.

ჭეშმარიტად ბედნიერია ჩვენი ქვეყანა, უბედნიერესია ჩვენი ქვეყნის ახალი თაობა ყვავის, იზრდება და იფურჩქნება ჩვენი ქვეყნის ბედნიერი თაობის სიჭაბუკე.

იზარდე შენც იყავი სიმამაცისა და გმირობის სანიმუშო ახალგაზრდა ოქტომბრის ტოლნო შენც იზარდე, ნორჩო თაობავ დიად ოქტომბრის შვილნო.

დაიბადა ოქტომბერი და დაიბადნენ ისინი...

გიორგი საამოვი.

ოქტომბრის ღვართქაფმა ცეცხლით და მახვილით გადიარა მთელ მსოფლიოზე. მან ამცნო ყველას თავის სიძლიერე, სიძლიერე ბოლშევიკების, სიძლიერე ისეთ რევოლუციის, რომელიც შობს ახალ ერს, კაცობრიობის ახალ განთიადს.

1917 წლის ოქტომბერმა, სოციალისტურმა რევოლუციამ შობა თავის პირმშონი. ისინი დაიბადნენ მაშინ, როდესაც ოქტომბრის ქარტეხილები აზანზარებდნენ მთელ მსოფლიოს, როდესაც სოფ. ბუდანკის გლეხი,—მოხეტიალე მომღერალი და შემდეგ დურგალი, ხოლო შემდეგ რევოლუციის აფრენილი არწივი—ჩაპაევი, ურალის სტეპებზე, ქვემეხების დაგა-დუგში, იცავდა სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარს, როდესაც ბუდიონის კავალერია მტრის დარტყმას, განადგურებით პასუხობდა, როდესაც მოსკოვის და ლენინგრადის პროლეტარიატი ქვას-ქვაზე არ სტოვებდა,—მტრის შესამუსრავად.

დიახ სოციალისტური რევოლუციის ამ პირმშოებს ჩვენ ოქტომბრის მოდგმას უწოდებთ, ისინიც დღეს 18 წლის გოგონები და ბი-

ფრიადოსანი, დიპლომანტი ამხ. ტუშა დოლიძე.

ჭები არიან, ისინი ოქტომბრის ტოლნი არიან, მასთან ერთად დაიბადნენ.

ესენი დაიბადნენ მაშინ, როდესაც მშობელთა ტვინისა და სისხლის მღრღნელი მეფე უკვე აღარ იყო, ისინი აკვანში იწვნენ და მშობლები უმღერდნენ ურალის გმირ მებრძოლებზე, როდესაც კვლავ მთელი სიძლიერით ისმოდა ქვემეხების გრიალი, როდესაც ფრონტებზე დაიარებოდნენ ლენინი და სტალინი, როგორც ბელადები, მებრძოლები და ცეცხლოვანი აგიტატორები.

დიახ, ესენი თავიანთ ფუნჩულა ხელებს აკვანს ავლებდნენ, ესენი იცინოდნენ და სტიროდნენ, თამაშობდნენ და გულუბრყვილოდ ტიტინებდნენ, როდესაც ბოლშევიკური გაზეთები ამცნობდნენ ყველას წითლების გამარჯვებიდან—გამარჯვებაზე გადასვლას.

ყველაფერი რაც კეთდებოდა კეთდებოდა მათთვის,—ოქტომბრის პირმშოებისათვის.

ესენი დაიბადნენ და რევოლუციამ მათ ყველაფერი მისცა,

საბჭოთა ხელისუფლებაც ახლად დაბადებული იყო. როგორც ესენი მაგრამ ამით არაფერი არ იყო საშიში, მამები,—რევოლუციის შევარდნები იყვნენ და ამდენათაც, გამარჯვება უზრუნველყოფილი იყო. მისი გაზრდა მათ ეკითხებათ.

მათ არა მარტო არაფერი იცოდნენ მეფის რეჟიმზე, არამედ მათ წარმოდგენაც არ ქონდათ მათზე არ იცოდნენ თუ რა ხდებოდა გარშემო, რატომ იყო ასეთი მღელვარება.

⁂

რამდენიმე წელმა, სამოქალაქო ომის ქარცეცხლისამ სწრაფად გაირბინეს.

რას აკეთებდნენ ესენი მაშინ? ისიც კარგად ახსოვთ, რომ მათ მამებს უმუშევრობა აღარ შეხვ-

სწავლობდნენ? დიახ, ესენი წითელი ბანტით, საბავშო ბაღებში დაიარებოდნენ. გეგონათ პოლიცელებზე, სოფლის მამასახლისებზე, ამისათვის თვალებს აცეცებდნენ, მაგრამ ვერსად ვერ ხედავდნენ.

1917 წელში დაბადებულნი. სურათზე მარცხნიდან მარჯვნივ:

ქურდიანი შუშანა, მიქელაძე ქეთევან, მოჭყობილი ფ., ლოლობერიძე ნინო

დათ. რომ სოფლის კანცელარიაში მამასახლისს აღარ წაუთრევია გასათელად, უდანაშაულო მამა. აღარც არავის გაუბედიათ მათი ოჯახის აწიოკება.

შემდეგ? შემდეგ დავაქკალდა ხელისუფლება. დადგა ნეტარების და სიცოცხლით, სავსე დღეები. გაიხსნა და გაფართოვდა სკოლის ქსელები, როგორც ქალაქად ასევე, სოფლად და ესენიც დაიზარდნენ. საბავშო ბაღიდან ისინი სკოლაში გადაირიცხენ, ხოლო იქიდან პირდაპირ ოქტომბრელებში ჩარიცხენ. შემდეგ საშუალო სასწავლებელი დაამთავრეს და ბოლოს უნივერსიტეტში შედიან.

ასეთია ის მოკლე ბიოგრაფია-რომლითაც ხასიათდება ბედნიერი ქვეყნის სხვა ათასეულ 18 წლიან გოგონებთან და ბიჭუნებთან ერთად, ჩვენი სახ. უნივერსიტეტის 1-ლი კურსის მსმენელების: ამხ. ამხ. ქეთო მიქელაძეს, ნ. ლოლობერიძეს, ნათელა ტყეშელავას, ფ. ბახუაძეს, ნელი თხელაძეს, თ. ფერაძეს მერი ჩხიკვაძეს, ეთერი სვანიძეს ნინა მაჭავარიანს

და სხვა.

⁂

ჩვენ ვცხოვრობთ და ვიზრდებით ისეთ ეპოქაში, სადაც ადამიანური, აზროვნების ყოველმხრივი გაფურჩქვნა ხდება, სადაც ნიჭს ფართე გასაქანი აქვს, სადაც პატივს სცემენ და აფასებენ ისეთ ახალგაზრდას, რომელიც სწავლობს და სწავლობს, ისე, როგორც მას ლენინი და სტალინი გვასწავლიან. და ეს სწავლა, სწავლა, და კიდევ სწავლა აი, მთელი ღირსება 18 წლის გოგონებისა და ბიჭებისათვის!

„ხვაი ლ'ფას ი ბედნიერხი გეზალმიშგუ"

ომბერმა სვანეთი თავისუ-
ხარედ აქცია. მე, ჭეშმარი-
თავისუფალი სვანი, თვრამეტი
ოქტომბერს, სოციალისტური
ბლოს ბედნიერი თაობის რი-
ან, აღტაცებული, მეთვრამე-
ე'ალქები.
ყვა არ მყოფნის, სიხარული-
ამღელვარებულს, ეს გრძნობა
ებით გამოვსახო. დღეს ხარ-
უწფები მეცნიერებათა საუნ-
ათა დიად მშენებლობაში
მი წვლილი შევიტანო ჩემს
სთან ერთად... მე გარკვე-
იზანი მაქვს და გარკვეული
ათვის ვშრომობ და ვიბრძვი.
ული მიზანი მაქვს და ამ მიზ-
არკვეულობა, პერსპექტივა,
ლისტურ სამშობლოს ახალ-
ას მხოლოდ ოქტომბერმა
ა.
ნიერი ვარ თავისუფალი სვა-
ეთის საშიშ წავარნებიდან,
ები პირდაღებული, ჩან-
ქრებოდნენ... სადაც იკვე-

ბებოდა გონება მხოლოდ ლეგენდებით... სადაც ილუპებოდა სანადიროდ წასული ბეთქილები, სტიროდნენ თამარილები, ხარხარებდა ხევში დალი და დავ, ეშმა და კიდევ ვინ...

ბუნების სტიქიით დაჩაგრულ სვანს გზა ფართოდ გაეღო კულტურისაკენ. განხორციელდა ჩემი ოცნება, დღეს უკვე სახელმწიფო უნივერსიტეტში ვსწავლობ, ლიტ. ფაკულტეტის ქართული სექციის III კ. ვარ—და ეს მხოლოდ ოქტომბერმა შემძინა.

ბავშვობა კოჯორის ბავშვთა სახლში გავატარე. იქ მივიღე პირველი აღზრდა, აღზრდა, რომლის მზგავსი არცერთი ეპოქის ახალგაზრდას არ ღირსებია... ისეთი აღზრდა, სადაც არ მიგრძვნია უდედობა, სადაც იყო ნამდვილი მშობლიური ალერსი, ფართო გზა მისწრაფებათა გამომჟღავნებისა და ამ მისწრაფებათა განვითარებისა... ეს მხოლოდ ოქტომბერმა შემძინა.

სვანეთის ბილიკებს დღეს შოსე გაეკიდა, შოსეს—ავტომობილები და ხრამსწვრივ ბილიკიდან ნადირობის ქალღმერთი დალი ხრამში ჩაიჩეხა... თვითმფრინავები უშბას ზემოთ დასცურავენ ნისლოვან სივრცეში და მამაპაპათა კოშკების ბუმბერაზულ სიჩუმეს არღვევს გუგუნი მათი.

თვითმფრინავი ჩემს ბარათს წაიღებს ეხლა დედასთან... დედა სამი თვის ნაცვლად სამი საათის შემდეგ მიიღებს... იქ წაიკითხავს საოქტომბრო ზეიმს, სიხარულს, ჩემს ბეჯით სწავლას, ჩემს სიჯანმრთელეს...

დედა ბარათს გულში ჩაიკრავს და იტყვის: „ხვა. ლ'ფას ი ბედნიერხი გეზალმიშგუ"...

ასე დაასრულა თავისი საუბარი ჩემთან სვანმა სტუდენტმა (ლიტერატურული ფაკ. ქართული სექციის III კ.), იაკობ მარგიანმა.

დავით ჩოგოვაძე.

რა მისცა მას ოქტომბერმა

აი, ადამიანი, რომელსაც შეუძლია მოგვცეს ზუსტი, თუ რა მისცა ოქტომბერმა მას.

წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ იგი ოქტომბრის ასაკისა არაა, რომ იგი ოქტომბრის ქარიშხლიან დღეებში არ დაიბადა. არა, მან ასეთუისე შეიგრძნო, დიახ, დედის ნანასავით ახსოვს ქარიშხალი, ქვემეხების გრიალი.

მას უფრო კარგად ახსოვს მენშევიზმის ბატონობის დღენი. ის ხომ სულ რაღაც 10 წლისა იყო, როცა როგორც ნაცუმცირესობის წარმომადგენელი გამოაძევეს დაწყებითი სკოლიდან.

და მანაც მიანება თავი სწავლას, ის შეიქმნა ქუჩა-ქუჩა მოხეტიალე ადამიანი,—ადამიანი, რომელსაც არაფერი პერსპექტივა არა აქვს მოზხამულ ატმოსფეროში. ადამიანი, რომლისთვისაც ცხოვრება მხოლოდ ამაოება იყო.

ასე ამრიგად მას შესძაგდა სკოლა. შეეზიზღა სწავლა. წიგნის კითხვა მას გულს ურევდა.

გამოსავალი აღარ იყო. მენშევიზმის ბატონობის დღენი ჯერ კიდევ არ ილეოდნენ. და იგი 1919—1921 წლებში იწყებს მოჯამაგირეობას. ამხ. გრიშა იტანს ბოღმის საშინელი პირობებს. იგი ასეთ მხეცურ მუშაობაში დაჰყოფს 4 წელს.

შემდეგ ოქტომბრის ქარტეხილები თავდაყირა აყენებს რა საქართველოს მენშევიზმს, სდგება ადამიანური ცხოვრების პერიოდი. 1924 წ წელს ერთი ამხანაგის საშუალებით გრიშა ამიროვი ეწყობა სიღნაღში კურიერათ. აქ იღებს იგი პირველ ნათლობას. იგი შედის პიონერთა ორგანიზაციაში: იქიდან ერთი წლის შემდეგ კომკავშირში და ასე ებმება კომკავშირული ცხოვრების დუღილში.

ეს არის ძვირფასი დღეები მისი ცხოვრების ისტორიაში. აქ იგი 1927 წელს პირველად იწყებს წერა კითხვის შესწავლას, რომელსაც ამთავრებს 6 თვის განმავლობაში.

ცხოვრება სწრაფად მიდის წინ და მის ცხოვრებაშიაც ხდება სერიოზული პროგრესი. მას რამოდენიმე ხნის შემდეგ ნიშნავენ ლაგოდეხში პიონერ ორგანიზაციის ხელმძღვანელად, ხოლო 1928 წელს იგი გადმოჰყავთ კომკავშირის კახეთის თავდაცვა ავიოქიმის კულტპროპად.

1929 წელს იგი იგზავნება ორ-

ფრიადოსანი სტუდენტები:

ოთარ ბეროძე, ნინო ბერაია, შურა მენაბდე. სერგო ბოცვაძე ა. მამალაძე, გ. ჟურაშვილი, ნიჟარაძე. კ. შეროზია.

ჯონიკიძის სახ. ცენტრალურ პარტ სკოლაში. აქ იგი საუკეთესო სწავლასთან ერთად თვალსაჩინოა, ორგანიზაციული მუშაობაში, შემდეგ მას ირჩევენ ბიუროკოლექტივის მდივნად.

ჯერ მოსწავლე, შემდეგ ქუჩაქუჩა მოხეტიალე, მოჯამაგირე, დარაჯი პიონერი და კომკავშირელი, 1931 წელს პირველად აღებს ლენინური პარტიის კარებს. მას იღებენ პარტიის წევრობის კანდიდატად.

1932 წელს ამიროვი შედის უნივერსიტეტში და იგი, დღეს ფილოსოფიური ფაკულტეტის მე-4 კურსის ერთ მოწინავე სტუდენტათ ითვლება.

თქვენ გამოიტანთ დასკვნებს: თუ რა მოუტანა ოქტომბერმა მას.

დიახ, ოქტომბერს ჰყავს მთელი მოდგმა, რომელნიც მიუხედავად იმისა, რომ ასაკით, მისი ტოლნი არ არიან, მისი შემწეობით იქცენ ადამიანებად, ჩვენი ქვეყნის ღირსეულ შვილებად.

გ. ხ—ვი.

მამის სურათი

ლე შარვლიანი პატარა
მამა რომ ფრონტზე
სხამ დილით ადგა მა-
ზე პატარა აბგა გიდაიკი-
იდხანს... დიდხანს კოც-
თად ერთ იმედს. მერე
[illegible] თვალი მოავლო ოთახს
ვიდა...
ის ხსოვნისგან მხოლოდ [illegible]
, ეს უკანასკნელი მოხლიუ-
ლერსი და დახარბებული კო-
უკანასკნელი იყო [illegible]
ლერსი... ალბად გრძნობდა მამა
ატომ იყო კოცნა ესე [illegible]
მთ ოჯახი აიყარა და [illegible]
დაეხეტებოდა დედა პატარა
თ სოფელ-სოფელ. ბოლოს [illegible]
ში გაჩერდნენ... აქ დედამ [illegible]
სამუშაო იშოვა, ბიჭი სახ-
ოში მოაწყო ვიღაცამ.
წლის ბიჭი ძველი მუშების
ით დადგა და ჯოჯოხეთური
იასრა. უზარმაზარი ქარხნის
ამა შთანთქა პატარა ბიჭი.
ხა დაიკარგა ვეებერთელა
ლების ხმაურში და ყველაფ-
ურვილი დღითი-დღე ეკარ-
ა.

⁂

ანარევი თვალები მოიფშვნი
და დაზგა გამოსწია. დაზგის
თეთრი ფურცელი ეგდო. აიღო
და და შეშინდა... პირველად

უფროსთან წაღება გადაწყვიტა მაგრამ მის მეზობელ მუშებს შეხედა:—ისინი ჩუმად კეცავდნენ ასეთივე ფურცლებს, ჯიბეში იდებდნენ და ვითომ არაფერი, მუშაობას აგრძელებდნენ. შერცხვა... მათ მსგავსად მანაც დაკეცა ფურცელი და და ჩაიდო ჯიბეში.

ეს იყო პირველი პროკლამაცია მის ხელში. მეორე დღეს პირველად შეაღო ბნელი სარდაფის კარები ჰერქვეშელ კომკავშირის ფარულ კრებაზე.

⁂

რევოლუციამ ადამიანური შრო- [illegible] წიგნი მისცა უკვე სიჭაბუ-



ამხ. ფ[illegible] 19[illegible] წ. დაბადებული.

კეში შესულს. [illegible] სურვილმა [illegible] დიდიხნის ნიჭიერი [illegible] ზნებმა გაიტაცა.

დაამთავრა მოსამზადებელი ჯგუფი, მუშფაკი და ბოლოს უმაღლეს სასწავლებელს მიაღწია.

... და ერთხელ როცა სამოქალაქო ომის დროინდელ გაზეთებს ათვალიერებდა პერეკოპის ეპოპეაზე შეჩერდა. გაზეთის ერთი გვერდი ამ ზღაპრულ ბრძოლაში დაღუპულ გმირების სურათებით იყო სავსე. შუაში მოსული ტანის ვაჟკაცი იყო: მიმინოსებური ცხვირით, წარბთან ნაჭრილობევით. ამხანაგებმა უცნაურად მიამსგავსეს მას და როცა დაღუპული გმირის გვარი წაიკითხეს გაოცებული შეაჩერდნენ. დაღუპული მისი გვარისა იყო.

გაურკვეველი რაღაც დარდი მოაწვა ვაჟკაცს. სურათი ამოჭრა და დედას მიუტანა... დედამ იცნო დაღუპული ქმარი და ერთხელ კიდევ შეიცხადა და...

თითქო ამ ამბავმა გაახსენაო, მამის ძველი ბარათები მოძებნა, გადაიკითხა. პირველი წერილები ავსტრიის ფრონტიდან იყო. ყველგან შვილის ნახვას ნატრობდა და ღმერთს ავედრებდა მის სიცოცხლეს. მერმინდელი წერილებს, გულაღრენილი ჯარის კაცის ლანძღვა გინება და წყევლა კრულვა იყო. ბოლოს ლაზარეთიდან იტყობინებოდა, რომ თეთრებმა დასჭრეს ეს იყო და ეს... აქ თავდებოდა მთელი მიწერ-მოწერა.

⁂

მამის სურათი კედელზე დაკიდა საწერი მაგიდის პირდაპირ. ლამაზ ბიოგრაფიას ერთი საამაყო ხაზი კიდევ შემატა—იგი სამოქალაქო ომის გმირის, ოქტომბრის ჯარისკაცის შვილი ყოფილა.

და როცა მის ოთახში სტუდენტები მოიყრიდნენ თავს სამეცადინოდ... მამის სურათი თითქო, ცოცხლდებოდა და წარბთან ფართო ნაჭრილობევით, ბაგესთან გაშლილი ღიმილით კედლიდან გადმოდიოდა... ეჩვენებოდა... მას უკვე გადმოსვლა აღარ შეეძლო... იგი აღარ იყო და ეცოდებოდა დაღუპული მამა, ეცოდებოდა რომ არ შეეძლო ენახა, რისთვის დაიღუპა რომლისთვისაც, მან სიცოცხლე მისცა.

გ. აბაშიძე

მეც გავიზარდე

ჩემს თაობას ოქტომბრის მოდგმას უწოდებენ. ეს იმიტომ, რომ მე, მის აბობოქრებულ ზვირთებში დავიბადე. მე, მისი პირმშო ვარ.

დაბადება ეს ერთია, რაც მთავარია მე მზრდის იგი. მე, ახლა სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშფაკის მსმენელი ვარ. თუ ოქტომბერი ითვლის დღეს თავის ბუმბერაზულ მიღწევებს, მეც ჩემი მხრივ გამაჩნია მიღწევები. ეს, რომ ასე არ იყოს, მე რომ არ ვასრულებდე დიდ ლენინის დარიგებას „სწავლაზე, სწავლაზე და სწავლაზე", შევარცხვენდი ჩემს მოდგმას.

მაგრამ ჩემდა საბედნიეროდ ეს ასე როდია. მე ჯერ კიდევ გასულ წელს მივიღე 5 საგანში „ფრიადი" დანარჩენ საგნებში კი „კარგი". არ არსებობს ისეთი სახის დავალება ჩემდამი, რომელსაც არ ვასრულებდე პირნათლად. გამოწერილი მაქვს საჭირო ჟურნალ-გაზეთები ვკითხულობ სისტემატურად მას. დავიარები კინო-თეატრებში თვეში 4-ჯერ და სხვა.

ვიძლევი პირობას, რათა ოქტომბრის ღვიძლი შვილის სახელწოდება გავამართლო. გავამართლო ისე, როგორც ამას თვით ჩემი მოდგმა.

ირაკლი მამამთავრიშვილი

ჩემი ოცნება განხორციელდა

ამჟამად ასპირანტურის III კურსზე ვარ. სასპირანტო მუშაობასთან ერთად ვასრულებ ასისტენტის მოვალეობას.

შრომას ვწერ საკითხზე: **„საშუალო ოდენობათა თეორეტული საფუძვლები და გამოყენების საზღვრები საბჭოთა სტატისტიკაში"**.

როგორც ხედავთ, შრომა ორ ძირითად ნაწილად იყოფა. განსაკუთრებულ ყურადღებას დამუშავების მხრივ საჭიროებს მეორე ნაწილი. ამ ნაწილში მე მომიხდება მარქს—ენგელს—სტალინის შრომების საფუძველზე **„გამოყენების საზღვრების"** დადგენა.

უნდა ავღნიშნო ისიც, რომ დიდ დახმარებას მიწევს პროფ. **ზ. ჩახვაძე.** მაძლევს მეთოდურ მითითებებს და რაც მთავარია თვითონვე მამარაგებს სათანადო ლიტერატურით. განზრახული მაქვს მოსკოვს წასვლა, სადაც დავამთავრებ სადისერტაციო შრომაზე მუშაობას

ზ. ბეროძე

პროფ. ალ. ჯავახიშვილი

გეოგრაფია სწრაფი განვითარების გზაზე

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებობის მოკლე განვლილ პერიოდში გეოგრაფიის მდგომარეობა სწრაფად ვითარდება: თუ 1920 წელს გეოგრაფიის კათედრაზე იკითხებოდა მხოლოდ ერთი კურსი ფიზიკური გეოგრაფიისა და ამ კურსს მომსახურეობას უწევდა ერთი პროფესორი ერთი ახალგაზრდა ასისტენტით და ეს კათედრა შედიოდა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მცირე რიცხოვან კათედრათა რიგში, 15 წლის განმავლობაში ამ კათედრის საფუძველზე წარმოშობილია დღეს ორი დამოუკიდებელი სექცია, ფიზიკური გეოგრაფიის და ქვეყანათმცოდნეობისა, საკუთარი სასწავლო გეგმებით და საკმარისად რთული პროფილებით: გეომორფოლოგიის, კარგოგრაფიის, ჰიდროლოგიის, კლიმატოლოგიის და ზოგად-და კერძო ქვეყაათმცოდნეობის. ამავე გეოგრაფიის კათედრის საფუძველზე წარმოიშვა გამოყოფილი ცალკე ნიადაგთმცოდნეობის სექციაც. დღეს ამ სექციებს მომსახურეობას უწევს გეოგრაფიული დარგების მრავალი სპეციალისტები: ოთხი პროფესორი, სამი დოცენტი და ათამდე ასისტენტი და ლაბორანტები; მოწყობილია მთელი რიგი სპეციალური კაბინეტებისა, ლაბორატორიები და ბიბლიოთეკა: გეომორფოლოგიის, ჰიდროლოგიის, კლიმატოლოგიის, გეოდეზია-კარტოგრაფიის, ნიადაგთმცოდნეობის და ზოგადი გეოგრაფიის ბიბლიოთეკა, თუ თავდაპირველად გეოგრაფიულ დარგებს არა ჰყავდა თავისი საკუთარი სტუდენტობა, დღეს ზემოდასახელებულ განხრებზე არის 8 ჯგუფი დაახლოვებით, 250 სტუდენტით. კათედრის ახალგაზრდა თანამშრომლები, ასისტენტები და ლაბორანტები, წარმოიშვნენ თვით ამ განხრათა სტუდენტობიდან; ამის გარდა კათედრებთან მუშაობენ ასპირანტებიც სხვადასხვა სპეციალობათა მიმართულებით.

გეოგრაფიული განყოფილებისვე თაოსნობით ჩატარდა 1935 წლის დასაწყისში პირველი საჯარო შეკრება ტფილისში მომუშავე გეოგრაფებისა „გეოგრაფიული დღეს" და განზრახულია ამ შეკრების ტრადიციად გადაქცევა და გაფართოვება მისი მთელი რესპუბლიკის მუშაკებზე და შემდეგ ა/კავკასიის „მუშაკებზე-გეოგრაფიული კონფერენციების" სახით.

გარდა ზემოდასახელებულ დაწესებულებისა ტფილისში გეოგრაფიული მუშაობა მოწყობილი იყო აგრეთვე რამოდენიმე ხნით მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში მის რეორგანიზაციამდის და ს.ს.რ.კ. სამეცნ. აკადემიის ა/კ ფილიალშიც; ამ ორივე დაწესებულებაში მოწყობილი იყო გეოგრაფიული განყოფილებები თავისი შტატით. მხოლოდ დღეს მიმდინარეობს მუშაობა ა/კ ჰიდრო-მეტეოროლოგიურ სამმართველოს კლიმატოლოგიურ და ჰიდროლოგიურ განყოფილებებში და საკავშირო კარტოგრაფიულ ტრესტის ა/კავკასიის განყოფილებაში რომელმაც რამდენიმე წლის განმავლობაში შექმნა მეტად ძვირფასი ბაზა ა/კავკასიაში რუკათა შედგენისთვის და ბეჭდვისთვის.

ტფილისის გარეშეც გეოგრაფიული უმაღლესი განათლების კერა შექმნილია ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც სამი წლის განმავლობაში მოწყობილია გეოგრაფიული განყოფილება ოთხი კურსით შესაფერი კაბინეტებით, ბიბლიოთეკით, აუდიტორიით და მეტეოროლოგიური სადგურით; გეოგრაფიის მასწავლებელთა პირველ კადრს ეს განყოფილება გამოუშვებს მიმდინარე აკადემიური წლის ბოლოში. ინსტიტუტს განზრახული აქვს სულ მოკლე მომავალში ეს განყოფილება გააფართოვოს გეოგრაფიულ ფაკულტეტად.

დამკვრელი ასპირანტი ამხ. შოთა ქინქლაძე

მეზობელ რესპუბლიკებშიც მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა გეოგრაფიული უმაღლესი განათლების მტკიცე საძირკველზე დაყენებისთვის: ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სახელმწ. პედაგოგიურ ინსტიტუტში მოწყობილია ფიზიკური და ეკონომიური გეოგრაფიის განყოფილებები; აქვე 1935 წელს დაარსდა სომხეთის გეოგრაფიული საზოგადოება. ბაქოს სახელმწ. პედაგოგიურ ინსტიტუტში გამოყოფილია ჯერ გეოგრაფიული განყოფილება, რომელიც მოკლე ხანში გადიქცევა ცალკე ფაკულტეტად: აქაც მიმდინარეობს მუშაობა კაბინეტების და ბიბლიოთეკის შექმნისათვის; აქვე განზრახულია სახელმწიფო უნივერსიტეტთან გეოგრაფ-გეოლოგიური ფაკულტეტის გახსნა.

აი იმ დაწესებულებათა მოკლე აღნუსხვა, რომელთაც ჩაეყარა მტკიცე საძირკველი საქართველოში და ა/კ.-ის მეზობელ რესპუბლიკებში გეოგრაფიული უმაღლესი სწავლა განათლების გავრცელებისთვის· უზრუნველყოფილია ზემოდასახელებულ დაწესებულებათა სწრაფი აღმოცენება და ზრდა, ჩვენი სოციალისტური ქვეყნის განახლებული ცხოვრების პირობებში. ეს უჩვევი გეოგრაფიის ძველი მდგომარეობისთვის სწრაფი განვითარება მაჩვენებელია იმის, რომ ჩვენი სოციალისტური ქვეყნის განახლებული ცხოვრება იწვევს გეოგრაფიას სამუშაო ასპარეზზე, უხსნის მას ფართო გზას და მოითხოვს მისგან სამსახურს როგორც კულტურულ და ეკონომიურ აგრეთვე სხვა ფრონტებზეც.

გეოგრაფიული დარგების მუშაკებს გვწამს, რომ თანდათანობით და სულ ცოტა ხნის განმავლობაში გავამართლებთ გეოგრაფიული ფრონტის დიად მნიშვნელობას ჩვენი სოციალისტური ქვეყნისათვის.

უნივერსიტეტის შოფერი ამხ. აკოფოვი რუბენ, დაჯილდოებულია ორჯელ უნივერსიტეტის მიერ ენერგიული მუშაობისათვის

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის საბრძოლო ამოცანებ

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა თავის არსებობის ხუთიოდე წელს ითვლის. მაგრამ მისი მუშაობა, როგორც საგამომცემლო ერთეულის, სრულიად გარკვეულ გეგმით და სისტემით მხოლოდ 1935 წელში დაიწყო. ცხადია, რომ ძირითადი პროდუქცია სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო შრომებისა 1935 წელზე მოდის.

უნივერსიტეტის გამომცემლობას აქვს ტექნიკურად საკმაოდ შეიარაღებული, საამწყობრო ცეხი ლითოგრაფია, რომელსაც შეუძლია შეასრულოს ყოველგვარი ლითოგრაფიული სამუშაო, საბეჭდი ცეხი ორი მანქანით და სხვა საჭირო მოწყობილობით, საამკინძაო ცეხი და უკანასკნელად შრიფტის შემქნელი ცეხი, რომელიც აწარმოებს დიდ სამეცნიერო მუშაობას ქართული შრიფტის რეფორმისათვის. მთლიანად, გამომცემლობა წარმოადგენს დასრულებულ, ტექნიკურად სათანადოთ შეიარაღებულ საგამომცემლო აპარატს.

1935 წლის განმავლობაში უნივერსიტეტმა გამოსცა 23 და წლის ბოლომდე იგი გამოსცემს 12 სამეცნიერო შრომას. ყველა ეს შრომები უნივერსიტეტის სამეცნიერო ძალების მიერ არის დამუშავებული. 1935 წლის განმავლობაში გამოცემულ იქნა 24 სახელწოდების სახელმძღვანელო წინაალმდეგ 15 სახელწოდებისა 1934 წელში. გამოცემული სახელმძღვანელოები სამეცნიერო დისციპლინების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: 1) მათემატიკა და ფიზიკა – 2, 2) ბუნებისმეტყველება, გეოგრაფია, ქიმია—5, 3) ენა და ლიტერატურა—4, 4) ისტორია—3, 5) ეკონომიკა—8, 6) პედაგოგიკა და ფსიქოლოგია—1, 7) სადისერტაციო შრომა—1. წლის ბოლოსთვის გამოცემულ უნდა იქნას 12 სახელწოდების სახელმძღვანელო, რომელთა გადამწყვეტი უმრავლესობა წარმოებაშია.

დამკვრელი ასპირანტი ამხ. ტყეშელაშვილი

1935 წლის საგამომცემლო მუშაობაში დიდი დაბრკოლებები იქნა გადალახული. გამომცემლობა სამეურნეო ანგარიშზე იმყოფება, მაგრამ დიდი დავალიანების გამო იგი მუდმივად გარკვეული ფიქსირებული თანხების გარეშე არსებობდა. ადგილი ქონდა განსაკუთრებით 1934 წელს უდისციპლინობას ამა თუ იმ სამუშაოს შესრულების საქმეში. ეს მდგომარეობა 1935 წელშიაც გრძელდებოდა. ჯერ კიდევ ნაკლებია გამომცემლობის სტამბის მუშების შრომის ნაყოფიერება. თვითეული მუშის გამომუშავება დღეში არ აღემატება $^1/_4$ ნაბეჭდი ფორმისას. არის ცალკე უარესი შემთხვევებიც. ყველაფერს ამას არ შეეძლო არ შეექმნა გარკვეული დაბრკოლებანი დასახული გეგმის შესრულების საქმეში, მით უმეტეს, რომ გამომცემლობის აპარატი 1935 წლამდე მეტად მოუქნელი იყო. უნივერსიტეტის რექტორის ამხ. კ. ორაგველიძის პირადი დახმარებით და ყოველდღიური დიდი მზრუნველობით ყველა ძირითადი დაბრკოლებები გადალახული იქნა. 1936 წელში შევდივართ გაცილებით უკეთ როგორც მატარიალურის სახსრების ისე სამუშაო სისტემის მოწესრიგების მხრივ.

ძირითად ამოცანებს 1936 წლისათვის წარმოადგენს:

1) მიღწეულ უნდა იქნას გამომცემლობის მექანიზმის მუშაობა შეუბრკოლებლად, ყოველგვარ შემთხვევითობის და ნახტომების გარეშე.

2) სამეურნეო ანგარიშის მტკიცე გატარების საფუძველზე 1936 წ. უნდა გახდეს გადამწყვეტ წლად იმისათვის, რომ გამომცემლობა მუშაობდეს უდეფიციტოდ ყოველგვარი დოტაციის გარეშე.

3) მთლიანად უნდა შესრულდეს გამომცემლობის 1936 წლის გეგმა ყოველგვარ დაჭიმულობის თავიდან აცილებით. იმ ტექნიკურ მოწყობილობით, რომელიც ჩვენ სტამბას აქვს ეს სავსებით შესაძლებელია.

4) ჯერ კიდევ დაბალი შრომის ნაყოფიერება ქმნის გეგმების არა ვადებში შესრულებას. სტამბის მუშაკთათვის სათანადო პირობების შექმნით უნდა იქნას უზრუნველყოფილი მაღალი შრომის ნაყოფიერება. სტახანოველთა მოძრაობაში ჩაბმამ უნდა გადასწყვიტოს ეს ამოცანა.

დამკვრელი ასპირანტი შოთა ბეროძე

5) უნდა შექმნილ იქნას ყველა პირობა გამომცემლობის მხრივ გარკვეულ კალენდარულ ვადებში აწყობილ და დაბეჭდილ იქნას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამეცნიერო შრომები და სახელმძღვანელოები.

1936 წლის პირველ მეოთხ ში უნდა დასრულდეს რუსუ ქართული ლექსიკონის გამოშ ბა, რომელსაც ვფიქრობთ ჩ უდიდესი კულტურული მნიშ ლობა აქვს რესპუბლიკის ცხ რებაში. აღნიშნული ლექსიკო აწყობა უკვე დაიწყო. იგი ს ნადო ვადაში იქნება გამოც ლი. 1 იანვრისთვის გამოვა უ ვერსიტეტის პერიოდულ (ს ვიანი) ორგანო საკმაოდ მო დილი ტანისა. ამით განმტკიც ბა საქართველოში სქელტა მეცნიერულ პერიოდული გა ცემის ტრადიცია. 1936 წელ გამოშვებული იქნება პირველ საქართველოში სრული ბიბლ გრაფია პერიოდული გამოც ბისა დაწყებული 1819 წლი (პირველი ქართული გაზ გამოცემის თარიღი) 1935 წლამ

3. ბ—

ჭოლოშვილი ევგენი, მუშ მათემატიკის დამკვრელი ტორი

ს. ვაჩნაძე

რუსული ენის სწავლების მდგომარეობა

ორი წელიწადი გავიდა ს.კ.პ. (ბ) ც. კ.-ის 2/X დადგენილების გამოქვეყნებიდან. ორი წელიწადია, რაც რუსული ენის კათედრამ ამ დადგენილების საფუძველზე, რექტორატის, პარტორგანიზაციის და უნივერსიტეტის საზოგადოებრიობის დახმარებით, გაშალა ენერგიული მუშაობა ც. კ-ის მიერ დასმული ამოცანის გადასაწყვეტად. ორი წლის თავზე კათედრას შეუძლია უნივმრსიტეტის ბეჭდვითი ორგანოს ფურცლებზე გამოვიდეს ერთგვარი შემაჯამებელი ანგარიშით, აღნუსხოს, რა გაკეთდა მის მიერ ც. კ.-ის დადგენილების გასანაღდებლად, რის გაკეთება შეეძლო ან სურდა კათედრას, და რა დაბრკოლებანი აღუდგენ წინ ამ შესაძლებლობათა და სურვილთა განხორციელების გზაზე.

რუსული ენის კათედრა-უდიდესად დაჭიმული ყურადღებით ეპყრობა სხვა კათედრათა მომსახურეობის საკითხს. ამით აიხსნება რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რუსული ენის კათედრის საწარმოო გეგმები ჭარბად დატვირთული იყო პედაგოგიურმეთოდიკური საკითხებით. კათედრამ შესძლო ორი წლის მანძილზე გარკვეული გარდატეხა მოეხდინა რუსული ენის მიმართ დამოკიდებულებაში როგორც პედ.-ადმინისტრ. პერსონალის, ისე, განსაკუთრებით, სტუდენტების მხრივ.

რა ხელის შემშლელი პირობები ელობებოდა რუსული ენის სწავლებას წინათ, რა დაბრკოლებები გადალახა ამ ორი წლის განმავლობაში რუსული ენის კათედრამ და რა სიძნელეები დაურჩა მას დასაძლევი? აი კითხვები, რომლებზედაც უნდა გაიცეს პასუხი, თუ გვსურს ნათლად წარმოვიდგინოთ რუსული ენის სწავლების დღევანდელი მდგომარეობა უნივერსიტეტში.

პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ჯგუფების შემადგენლობის დიდი სიჭრელე რუსული ენის ცოდნის მხრივ: ჯგუფში ერთად ისხდენ ძლიერი, საშუალო და ძალზე სუსტი სტუდენტები·

ასეთ პირობებში, ცხადია, მასწავლებლის მდგომარეობა მეტისმეტად ძნელი იყო და მისი მუშაობა ნაკლებ შედეგს იძლეოდა. კათედრამ ეს დაბრკოლება დაძლია მით, რომ რექტორატის დახმარებით შემოიღო, როგორც წესი, სტუდენტობის ცოდნის და მიხედვით დაჯგუფება. მაგრამ ზოგი ფაკულტეტის ხელმძღვანელმა ცხრილის უხეიროდ შედგენის შედეგად ხელი შეუშალეს რუსულ ენაში ცოდნისდა მიხედვით სტუდენტთა დანაწილებას.

მეორე დაბრკოლება, რომლის გადალახვაც სავსებით ვერ მოხერხდა, იყო საათების რაოდენობის სიმცირე და მათი სამწლად განაწილება. კათედრამ რექტორატის დასტურით შეამჭიდროვა სწავლების დრო და შეძლო სამი წლის საათების განაღდება ორ წელზე. რითაც მიღწეულ იქნა ორი საათის ნაცვლად ექვს დღიურში ოთხი საათი ლექციის მიცემის ორგანიზაცია; აუცილებლივ უნდა მოწესრიგდეს ორ კუ' სზე 280-320 საათის ნაცვლად ა60 საათის მიცემა.

კათედრის წარმატებითი მუშაობისათვის უდიდეს სიძნელეს წარმოადგენს შესაფერისი სახელმძღვანელოების უქონლობა რის გამოც რუსულ ენაში სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის სათანადოთ დაყენება შეუძლებელი ხდება. ორგანიზაციის სათანადოთ შეუძლებლობა). კათედრამ ამ მხრივაც გადადგა სათანადო ნაბიჯი: დაამზადა და ახლო მომავალში გადასცემს გამომცემლობას რუსული ენის სახელმძღვანელოს პირველ ნაწილს (ფონეტიკა და მორფოლოგია); ამუშავებს და, ალბათ, მეორე სემესტრის დამთავრებამდე გაამზადებს დასაბეჭდათ სახელმძღვანელოს მეორე ნაწილს (სინტაქსი); დამუშავებული აქვს საკითხი წიგნებად რუსულ კლასიკოსთა რამდენიმე ნაწარმოები და კვლავ ატარებს ამ მხრივ მუშაობას; კათედრის ყველა ამ ნაშრომს თანდართული ექნება რუსულ-ქართული ლექსიკონი და კომენტარიები, რაც სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობისათვის ყოველმხრივ ხელის შემწყობი საშუალება იქნება.

კათედრამ გასულ წელს დასვა საკითხი კაბინეტის ორგანიზაციის საჭიროების შესახებ, მაგრამ აუდიტორიის უქონლობის გამო კაბინეტის გახსნა ვერ მოხერხდა, რაც ძალზედ უშლის ხელს სტუდენტთათვის კონსულტაციის ორგ ციას, პედაგოგიური და კვლ მუშაობის საქმეს და სხ.

კათედრამ შემოიღო ციებზე მასწავლებელთა ურ დასწრების პრაქტიკა და რის სხდომებზე მუშაობის ბის ურთი ერთს გაზიარე ზომას უეჭველად დიდი პედ ური მნიშვნელობა აქვს შედეგებიც უეჭველად დიდი სწავლების ხარისხის ამა საქმეში.

სულუხია ოლია მუშფაკ კრელი ლექტორი

უნივერსიტეტი წინათ და ახლა

(1918—1935)

ორდენოსანი საბჭოთა საქართველო ოქტომბრის რევოლუციის მე-18 წლის თავს მთელი რიგი მიღწევებით ხვდება კულტურულ ფრონტზედაც. მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი—დიდი სტალინი გვასწავლის: **პროლეტარიატის დიქტატურის და სოციალიზმის მშენებლობის პერიოდი** საბჭოთა კავშირში არის შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური კულტურის აყვავების პერიოდი". ორდენოსან საბჭოთა საქართველოში—პარტიის მიერ კულტურ. რევოლუციის წინაშე დასმული დიდი ამოცანების გადაწყვეტის დარგში ჯერ არ ნახულ და გაუგონარ წარმატებებს მიაღწია. გაიზარდა და გამტკიცდა მუშათა კლასის საწარმოო ტექნიკური და კულტურ. ინტელიგენცია. მეცნიერების ყოველ დარგში იჭედება ბოლშევიკური კადრები. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში—კი—მათი დეგრადაციის და იდეოლოგიის გახრწნის შედეგად ზედიზედ იხურება მრავალი სამეცნიერო დაწესებულებები და უნივერსიტეტები.

მაღალ კვალიფიციურ—ბოლშევიკური კადრების ერთერთ უდიდეს სამეცნიერო ცენტრს საქართველოში ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენს. უნივერსიტეტის ნამდვილი აღმავლობა და აყვავება მხოლოდ პროლეტ. დიქტატურის სისტემაში იწყება. ავიღოთ შემდეგი დამახასიათებელი ცნობები;

ტფილისის სახელმწ. უნივერსიტეტი დაარსდა 1918 წ. 26 იანვარს. 1918—21 წლამდე მისი არსებობა სათანადო საბუთებისა და ოქმების საფუძველზე აშკარად გვეუბნებიან, რომ უნივერსიტეტის არსებობა ამ პერიოდში მეტად უნუგეშო იყო. აკადემიური კომისია მართავს მთელ რიგ სხდომებს (26 ნოემბერს, დეკემბრის 8, 17, 19, 27 იანვრის—3, 10, 13, 17 და 21-ს). ისმის საკითხი: რა სახელმწიფოებრივი და სახალხო მეურნეობითი მიზნები იყო უნივერსიტეტთან შეთავსებული?—არავითარი. აკადემიურ კომისიის ოქმში არსად არ ჩანს, არც პერიოდულ ორგანოში და არც სხვაგან არა თუ რამე წერილი, არც ერთი მოხსენებაც კი მენშევიკურ ხელისუფლების მხრით უნივერსიტეტის და მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის ინტერესებთან შეგუებისა და აკადემიურ მუშაობაში საქართველოს ეკონომიურ ძირითადი ინტერესების გამოხატვის შესახებ არა გვხვდება. ამგვარად, საქართველოს უნივერსიტეტი ამ პერიოდში არსებობდა, როგორც კერძო დაწესებულება; ხოლო 6 თვის შემდეგ ე. ი. მისი სახელმწიფო ორგანიზაციად გადაქცევისას—მენშევიკურმა მთავრობამ დიდის ვაი-ვაგლახით 75 ათასი გაიღო.

ავიღოთ კონკრეტული ფაქტები: პედპერსონალის შემადგენლობა წლების მიხედვით ასეთია: 1918 წ.—16 პროფესორი. 1919 წ. 26 პროფ. 1920 წ.—30 პროფ. 1922 წ. 34 პროფ. 1925 წ.—40. 1927 წ. 41 პროფ. 1934/35 წ. 69 პროფ. დოცენტები—1918 წ.—5. 1919 წ.—6. 1920 წ.—7. 1925 წ.—19. 1927 წ.—25. 1934 წ. და 1935 წ. **75 დოც. ასისტენტები**: 1929 წ.—20 კ. 1920 წ.—34 კ. 1921—56. 1925 წ.—106. 1934/35 წ. 118 კ. **ასპირანტები**: 1918 წ.—2. 1919 წ.—11. 1920 წ.—12. 1922 წ.—15 1925 წ. 23. 1927 წ.—32. 1934/35 წ.—ე. ი. ამჟამად ასპირანტურაში ირიცხება—35 კაცი. ბიოდისციპლინებში—1 კაცი. ისტორ.—10. ლიტერ.—10. ეკონ. მეცნ. 22. გეოგრაფ.-გეოლოგ.—5. ფიზ.-მათემ.—10. ქიმიური—11. სამართლის—3. ფილოსოფიაში—2. ავიღოთ **სტუდენტთა მოძრაობა სახუნტში—დღიდან დაარსებისა.** 1918 წ.—2.414 სტუდ. ირიცხებოდა. 1919 წ.—20 წ. 3.054. 1920—21 წ.—3.498. 1921—22—3.724 1922—23 წ.—3.700. 1925—26 წ.—5,904. 1926—27—7.803. 1933—34 წ.—3.092. 1934—35 წ. 5.500 სტუდენტი. (რომელშიც 1932 წლიდან არ შედის ფაკულტეტები, რომლებიც ეხლა ინსტიტუტებათაა ჩამოყალიბებული). სასოფლო-სამეურნეო, ინდუსტრიალური, სატყეო, პედაგოგიური და სხვ.).

ფაკულტეტების მიხედვით უნივერსიტეტში შემდეგი სურათია: 1918 წ. 8 თებერვალს გაიხსნა ერთი ფაკულტეტი (სიბრძნის მეტყველების) შემოდგომაზე მას მიემატა ორი ფაკულტეტი (სამკურნალო და მათემატიკურ საბუნებისმეტყველო), 1919 წ. ჩამოყალიბდა აგრო-განყოფილება, რომელიც 1921 წ. ცალკე ფაკულტეტად გამოიყო. სახუნტში ამჟამად შემდეგი **ფაკულტეტები არსებობს:** 1. ფიზიკო-მათემატიკური. 2. ქიმიური. 3. გეოგრაფიულ-გეოლოგიური, 4. ბიოლოგიური. 5. ისტორიული. 6. ლიტერატურული. 7. ეკონომიური. 8. სამართლის. 9. მუშათა ფაკულტეტი. ამასთან ერთად სახუნტში არსებობს შემდეგი **სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტები:** 1. მათემატიკისა და ფიზიკის, 2. გეოლოგიის. 3. ფიზიოლოგიის. 4. გეოგრაფიის. 5. ლიტერატურის. **კაბინეტები: 1. ისტორიის, 2. ეკონომიური მეცნიერების, 3. საალრიცხვო, 4. პარტკაბინეტი. 5. შრიფტის და სხვ.**

ავიღოთ **სოციალური და პარტშემადგენლობა; 1922—23 წ. სტუდ. რიცხვი—3700 კ. აქედან—მუშები და მუშის შვილები—320. გლეხები და მათი შვილები—1.860 მოსამს. და მათი შვილები—1.239. დანარჩენი და გამოურკვეველი—291.—პარტშემადგენლობა; კ. პ. წევრი და კანდიდ.—107. კომკავშირის წევრი და კანდიდატი—101. უპარტიო—3.502.**

1924—25 წ.წ. 6.790 სტუდ. აქედან: მუშები და მუშის შვილები—1.088. გლეხები და გლეხის შვილები—2.78 კ. მოსამსახურე და მათი შვილები—1.277. დანარჩენი და გამოურკ.—1.648. **პარტშემადგენლობა** კომპარტ. წევრი და კანდიდატი—126. კომკ. წევრი და კანდიდატი—444. **უპარტიო**—6220 1926—27—7.80 კ. სტუდენტიდან. მუშები და მუშის შვილები—1.520. გლეხი და მათი შვილები—1.846. მოსამს. და მათი შვილები—2.022. ხელოსნები და მათი შვილები—115 დანარჩენი დაგოურკ. 2.300. **პარტშემადგენლობა**—კომპარტ. წევრი და კანდიდატი—346. კომკ. წევრი და კანდ.—1.162. უპარტიო—6.195 1933/34 წ. 3.092 სტუდენტიდან—მუშები და მათი შვილები—662. გლეხები და მათი შვილები—940. მოსამს. და მათი შვილები—623. ხელოსნები და მათი შვილები—15. კოლმეურნე და მათი შვილები—896. დანარჩ. და გამოურკვ.—16. კომპ. წევრი და კანდიდატები—290. კომკ. წევრ-კანდიდატები—1.538. უპარტიო—1.264. 1934—35 წ. 4.337 სტუდენტი. მუშები და მუშის შვილები—897. გლეხები და გლეხის შვილები—1.199. მოსამსახურე და მათი შვილები—835. ხელოსნ. და მათი შვილები—87. კოლმეურნე და მათი შვილები—1.009 დანარჩენი და გამოურკვეველი 310. **პარტშემადგენლობა**—პარტწევრები და კანდიდატები—400. კომკავშირელი—2·150. უპარტიო—1.787. პედპერსონალთა შემადგენლობა და მათი პარტშემადგენლობა 1934/35 წ. პროფესორები—69. აქედან კომპარტ. და კანდიდატები—16. თანამგრძნობი—2. უპარტიო—51 დოცენტები—75. კომპარტიის წევრები და კანდიდატი—18. კომკავშირელი—2. თანამგრძნობი—1. უპარტიო—56. მასწავლებლები—87. პარტწევრი-კანდიდატები—37 კ. კ. წევრი—14. უპარტიო—36. ასისტენტები—118. პ/წევრები და კანდიდატები—15. კომკავშირელები—17. უპარტიო—86. ავიღოთ სტუდენტთა მატერიალური მდგომარეობა. **1918 წლიდან უნივერსიტეტში არსებობდენ ე. წოდ. სტუდენტთა კავშირები.** მაგრამ ამ კავშირებს არავითარი უფლება არ ქონდათ. ავიღოთ რამოდენიმე დამახასიათებელი ფაქტები:

1919 წლის 15 მარტის ოქმი № 18. იქ სწერია:

მოისმინეს: უნივერსიტეტის სტუდენტთა ქალთა კავშირის თხოვნა მიეცეს მათ სამკითხველოსათვის ცალკე ოთახი.

დაადგინეს: უარი ეთქვას.

1919 წლის მაისის № 28 ოქმიდან.

მოისმინეს: სტუდენტთა კავშირის გამგეობის თხოვნა მიეცეს მას სესხად 10.000 მანეთი (ათიათასი მანეთი).

დადგინეს: უარი ეთქვას.

1919 წლის 15 ნოემბრის № 56 ოქმიდან.

მოისმინეს:—თხოვნა სტუდკავშირისა—მიეცეს მათ სესხად 7000 მან. სიბრძნისმეტყ. ფაკ. სასწავლო საგანთა მიმოხილვის დასაბეჭდად.

დადგინეს: უარი ეთქვას.

ასეთი ფაქტების მოყვანა მრავლად შეიძლება, მაგრამ ესეც საკმარისია, იმის თვის თუ როგორ ზრუნავდენ მენშევიკები უნივერსიტეტის „აყვავებისათვის".

მენშევიკების დროს სტუდენტობა მოკლებული იყო სტიპენდიას, დახმარებებს, საერთო საცხოვრებელს და სხვ. ისინი სტუდენტებს **„უარი ეთქვას"**-ით უმასპინძლდებოდენ, მაშინ როდესაც ვაჟბატონები, **საეკლესიო კრებაზე დასახრებად—გელათში—ირჩევდა წარმომადგენელს** და **ხარჯავდა—50,000 მანეთს** (იხ. ოქმი № 8ა). საბჭოთა ხელისუფლების დროს ძირითადი გარდატეხა ხდება ამ მხრივ. უნივერსიტეტის სტიპენდიანტთა რაოდენობა 1927/28 წ. იყო —1600 სტ. 1934/35 წ. 2500 სტიპენდიანტია 700 ღებულობს დახმარებას.

უნივერსიტეტის ბიუჯეტ წ. უდრიდა 827,689 მან წლისათვის 7 მილიონს. 10 მილიონი. 1936 წლის 15 მილიონამდეა. გადიდე ბული.

საერთო საცხოვრებელ დენტთა რაოდენობა 1918/20 წ. არც ერთი —850 სტუდ. 1934/35 სტუდ. 1935/36 წლისა სტუდენტ ტფილისის ფო უნივერსიტეტი უმაღლესი მეცნიერო დაწესებულება, რომელიც ამზადებს ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის და კულტურული მშენებლობისათვის—მაღალ კვალიფიკაციის სპეციალისტებს. (მათემატიკოსებს, ფიზიკოსებს, ქიმიკოსებს, გეოგრაფებს, ლიტერატორებს, ისტორიკოსებს, იურისტებს, ეკონომისტებს და სხვ.) ამრიგად ორდენოსან საბჭოთა საქართველოში ტფილისის სახელ. უნივერსიტეტი ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მონაპოვრებია, სადაც ყველა დარგს ყავს საკმაოდ დიდი სამეცნიერო ძალები, რაც შედეგია მსოფლიო ოქტომბრის. ჩვენ ავიღეთ მხოლოდ ზოგიერთი ძირითადი მაჩვენებლები. ყველა მიღწევები—პარტიისა და ხელისუფლების მუდმივი მზრუნველობას და ხელმძღვანელობას უნდა მიეწეროს. საქ. კომ. პარტ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ამხ. ლ. ბერიას უშუალო კონკრეტ ხელმძღვანელობით ჩვენ დროულად და ღირსეულად შევასრულებთ ყველა იმ ამოცანებს, რომლებიც დაკისრებული აქვს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კერას.

გ. უ—ვა.

ტფილისის სახ. უნივერსიტეტის ტიპო-ლითოგრაფია

რწმუნებული № დ-33